რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 59 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 59

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ბარბარე ქურდიანისა, მეუღლე ისაკი, ძმები: დავითი, პეტრე, ლევანი, ივანე და გიორგი, დები: ანნა, ნინო და მართა; რძლები ნინა, ლიზა, ქეთო, ნინა და სოფო ქურდიანნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**თამარა მიხეილის ასულის ღოღიკაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე, მიცვალებულის ბინაზე, (ჩუღურეთის შესახვევი № 14). დასაფლავება მოხდება 14 მარტს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი ნიკოლოზის ეკლესიაში. (2—2)

## თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

ამა წლის 9 მარტიდან გამოქვეყნებულ საქონლის შემოტან-გატანის არსებულ წესის შესაცვლელად თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რათა მიმდინარე წლის 12 მარტიდან ნებადართულ იქმნას აბრეშუმის თესლის—გრენის დაუბრკოლებელი გატანა ამიერ-კავკასიის საზღვრებში.

ეს დადგენილება ეცნობა აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს და ამის შემდეგ ყველას საშვალება ეძლევა უნებართვოთ წარუდგინონ თესლი სადგურის უფროსებს თავის ადგილზე გადასაგზავნათ.

(3—1) თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება"

კვირას, 18 მარტს დილის 10 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია წევრთა

## საერთო წლიური კრება

**დღის წესრიგი:** 1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2) ახალი წესდებისა და საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის განხილვა, 3) მოსამსახურეთა საკითხი, 4) 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) მიმდინარე კითხვები, 6) გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები.

საზოგადოების წლიური მოკლე ანგარიში დაიბეჭდება საერთო კრების დღისათვის.

წევრებმა, რომელთაც სურვილი აქვთ გაეცნონ ანგარიშს, კეთილ ინებონ და მობრძანდენ საზოგადოების კანტორაში (ვერის დაღმართი № 12) დღის 10—2 საათამდე.

თუ ვინიცობაა 18 მარტს კრება არ შესდგა—მეორე კრება ინიშნება 25 მარტს. იმავე შენობაში და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(2—1) საზოგადოების გამგეობა.

## სახლის კომიტეტებს

საბარათო სისტემის განყოფილება სთხოვს ყველა სახლის კომიტეტებს ამ თავითვე შეუდგენ ახალ სასურსათო ბარათების მიღებას (შაქრის, ნავთისა და სხ.) რომ ამით თავიდან აცილებულ იქმნას თვის ბოლო რიცხვებში ბიუროებთან მოქალაქეთა შეგროვება და გრძელი რიგები.

(3—1) ქალაქის გამგეობის საბარათო სისტემის განყოფილება.

## შაქარი და ნავთი

12 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყო დარიგება მესამე სერიის სასურსათო (შაქარი, ნავთი და სხვ.) ბარათებისა, **აპრილის, მაისისა და ივნისისათვის**, სახლის კომიტეტები ბარათებს მიიღებენ რიგს გარეშე. ბარათების მისაღებათ სახლის კომიტეტებმა საჭიროა წარადგინონ ძველი სასურსათო ბარათები, სახლის წიგნები და სახლის სარეგისტრაციო უწყებანი. ყალბი ცნობების მიწოდებისთვის სახლის კომიტეტები სასამართლოში იქნებიან მიცემულნი.

თვითეული სასურსათო ბარათი ღირს 25 კაპ.

(3—2) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

## ღ ვ ი ნ ო

ღვინის ბარათებს იძლევიან 2 თვის ვადით. ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის ღვინის ტალონები გამოდგება მარტში, აპრილში და მაისში. ღვინის ბარათები მიიღება მესამე სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის და ივნისის) წარდგენისთანავე.

(3—2) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

## განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ქალაქი შეუდგა მეათე უბანში (ელისაბედის და აბასთუმანის ქ. კუთხის ახლოს) **გაშლილი ბაზრის** მოწყობას. ვისაც სურვილი აქვს იქ ვაჭრობისა, საჭიროა წინდაწინვე დაიჭიროს სავაჭრო სტოლი; ამ საქმისთვის მათ უნდა მიმართონ განცხადებით ქალ. გამგეობის საამშენებლო განყოფილების კანცელარიას, რაც შეიძლება ყოველ დღე დღის 12—2 საათ. (2—2)

## თფ. ქართ. ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ვაჭართა და მრეწველთა კავშირის სასარგებლოთ შემოწირულების გაწერა უკვე დამთავრებულია, სიები დამზადებულია. ვაჭრები და მრეწველები ვალდებულნი არიან მათზე გაწერილი ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ, რადგან იმ განსაცდელის დროს, რომელშიდაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, ყოველივე დაგვიანება დანაშაული იქნება.

გაწერილი ფულიდან ოთხმოცდაათი ასეული (90 პროც.) გადაეცემა ეროვნულ საბჭოს, ხოლო 10 პროც. ვაჭართა და მრეწველთა კავშირს.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება საბჭოს თავმჯდომარე ნ. წვერავასთან და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა იქნას შეტანილი ამიერ-კავკასიის ბანკში საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე № 346. 4—4

ექიმი ქალი

**რ. გ. შიუკო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

კანტორა „განათლებაში" იყიდება თავგვების და ვირთხების

**საწამლავი**

ოლღას ქ. № 6.

## ვინ უნდა განახორციელოს ახალი კანონი

სეიმის მიერ ახლად გამოცემული კანონი მიწების ჩამორთმევის შესახებ, ეჭვი არაა, ბოლოს მოუღებს ბატონ-ყმურ ნაშთებს სოფელში და გლეხის მეურნეობას წინ წასწევს.

მაგრამ კარგს კანონს თავის თავათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. თვითმპყრობელობის დროსაც ბევრი კარგი კანონი გამოიცა, მაგრამ იმის ასრულებაზე არავინ ზრუნავდა; პირიქით, სახელმწიფოს მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს „კარგი" კანონი ერთი მუჭა თავად-აზნაურობის და კაპიტალისტების სასარგებლოთ ყოფილიყო გამოყენებული.

აღნიშნული კანონიც უნაყოფო იქნება, თუ დემოკრატიამ არ იზრუნა მის განხორციელებაზე. სეიმის მიერ გამოცემული მიწის კანონი მთელს გადატრიალებას ახდენს სოფლის ურთიერთობაში. ჩამორთვით მიწა მემამულეს და ის ყოველგვარ უპირატესობას დაჰკარგავს და უბრალო მომაკვდავი გახდება. მართალია, ახალი კანონი უტოვებს მემამულეს იმდენ მიწას, რამდენის დამუშავებასაც ის შესძლებს, მაგრამ ეს დიდს ნუგეშს არ წარმოადგენს მემამულისათვის: ის საუკუნოებით მიჩვეულია მფარველობას და მტაცებლურ მეურნეობას, მას ცხოვრების მადა დიდი აქვს, მაგრამ შრომის უნარს მოკლებულია. ეს არ არის რომელიმე მემამულის პირადი დანაშაული, ეს ისტორიულ აუცილებლობით არის გამოწვეული.

ასეა თუ ისე, ახალ კანონს ბევრი მტერი ჰყავს. მის დამახინჯებას ან დიდი ხნით გადადებას ბევრი გავლენიანი პირი შეეცდება. და ეს მაშინ, როცა თვით გლეხობა ნაკლებათ არის მომზადებული. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რევოლიუციონურ მთავრობის მიერ შექმნილ სადგილ-მამულო კომიტეტებში ბევრ ალაგას მსხვილი მემამულეები იქნენ არჩეულნი. ამ დაბრკოლებას ზედ დაერთო მეორე დაბრკოლება. სწორეთ იმ დროს, როცა ეს კანონი გამოიცა და მისი ცხოვრებაში გატარებას შევუდექით, ხალხს თავს დაატყდა გარეშე მტრის საფრთხე. დღეს ფაქტიურათ უკვე ბრძოლა სწარმოებს ოსმალეთთან და დღეს თუ ხვალ ოფიციალურათ გამოცხადდება ომი, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ საკუთარის ძალებით უნდა აწარმოვოს. დემოკრატიას ამ საქმეში დამხმარე არავინა ყავს, ხოლო ხელის შემშლელი კი მრავალია. ერთის მხრით გარეშე მტერთან ომი, ხოლო მეორე მხრით ამ უდიდესი რეფორმის საკუთარ ძალებით განხორციელება—აი ის საპატიო, მაგრამ დიდი ტვირთი, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ უნდა ზიდოს.

ამიერ კავკასიის სეიმი, რომელმაც მიწის კანონი გამოსცა, თითონ იზრუნებს მის ცხოვრებაში გატარებაზე. ეს სეიმის მოვალეობაა. ის დანიშნავს სათანადო კაცებს, გადასდებს საჭირო თანხას და სხ. მაგრამ კანონის ასრულების საქმეში სეიმი ვერ იმოქმედებს ისეთის ერთსულოვნობით, როგორც მისი მიღების დროს. ამ მხრით კანონს უფრო დეკლარაციის, განცხადების ხასიათი აქვს. მართლაც როგორ შეიძლება საქვეყნოთ გაეცხადო—გლეხებს მიწებს ნუ მივცემთო? ეს ხომ აღშფოთებას გამოიწვევდა გლეხებში და არსებულ ანარქიას კიდევ უფრო გააძლიერებდა. ამიტომ კანონი მიწების ჩამორთმევის შესახებ ერთხმათ იქნა მიღებული, მაგრამ როცა საქმე მის ასრულებაზე მიდგება, ეს ერთსულოვნება, ეჭვი არ არის, გაქრება და რეალური ინტერესები წამოყოფენ თავს. ერთი შეხედვით, გაუგებარი გარემოება შეიქნება: რევოლიუციონურ დემოკრატიას მოუხდება კანონიერების ნიადაგზე დგომა, ხოლო რეაქციონერები რიხით შეუდგებიან რევოლიუციონერობას და კანონის დაწუნებას. შემთხვევითი მოვლენა როდი იყო ის, რომ ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო" მოწოდებით მიმართავდა გლეხობას, თავი დაანებეთ კანონიერების გზას და თქვენს თავს თითონ მოუარეთო.

მართალია, დემოკრატიამ თითონ უნდა გააკეთოს თავისი საქმე, მაგრამ არა ანარქიის და არევ-დარევის შემწეობით, არამედ ორგანიზაციების გამაგრებით და მწყობრი მოქმედებით.

ნუ შეგვაშინებს ის გარემოება, რომ ყველა მიწების რაოდენობა სისწორით არ არის გამოანგარიშებული. ახალ კანონისთვის ეს არც საჭიროა. უპირველეს ყოვლისა მემამულეებს უნდა ჩამოერთვას კანონში აღნიშნულ ნორმაზე ზევით და ამისთვის სტატისტიკა სულაც არ არის საჭირო. მიუზომეთ მემამულეს კანონით მინიჭებული ნორმა და დანარჩენი ჩამოართვით—ამით პირველი ნაბიჯი გადადგმული იქნება. ჩამორთმეული მიწა გადავა საადგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში, მაგრამ დასამუშავებლათ ახლავე გადაეცემა გლეხებს. ვის რამდენი უნდა გადაეცეს, ამას გამოარკვევენ ადგილობრივ გლეხთა საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები. აი აქ მართებთ ამ ორგანიზაციებს სიფხიზლის და ენერგიის გამოჩენა, რომ შეუგნებელი პირები ერთმანეთს არ დაერიონ.

ვინც გულწრფელი მომხრეა მიწების ჩამორთმევის, მან ხელი უნდა შეუწყოს სოფლათ ორგანიზაციების გაძლიერებას. გლეხები ახლავე უნდა შეუდგენ საქმეს, რომ, როცა სეიმის მიერ დაგზავნილი პირები მივლენ სოფლად, ადგილობრივ აღმოუჩინონ დახმარება.

დიდი, საშვილი-შვილო საქმე კეთდება. მაგრამ დიდ საქმეს დიდი მუშაობა უნდა. ამიტომ ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები ფეხზე უნდა დადგენ და სეიმს დახმარება აღმოუჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი კანონათ დარჩება და მიწათმფლობელობის საქმე კიდევ უფრო აიწეწება.

## გლეხებს

სამწუხარო და აღმაშფოთებელი ამბები მოდის სოფლებიდან, განსაკუთრებით ქართლიდან.

ვიღაც უნამუსო დ თავზე ხელაღებულ პირებს მიზანში ამოუღიათ უმწეო პირები—თავად-აზნაურობის წრიდან და სიცოცხლეს ასალმებენ.

იყო დრო, როცა თავად-აზნაურობას ჩვენ ვებრძოდით, მაგრამ კერძო პირების მოკვლა და აწიოკება არასოდეს არ ჩაგვითვლია დასაშვებათ. და თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ მხოლოდ იმით, რომ ჩვენს ბრძოლას შეგნებული ხასიათი ქონდა. კერძო პირების აწიოკება არ შეეფერება რიგიან მებრძოლის ღირსებას.

ის, რაც დღეს ქართლის სოფლებში ხდება, პირდაპირ ღალატია რევოლიუციის, ის შერცხვენაა მთელი საქართველოის, შეურაცხყოფაა იმ მებრძოლ პირების, რომლებმაც ხალხის ბედნიერებას შესწირეს თავი.

ნუ თუ ჩვენ იმისთვის ვებრძოდით თვითმპყრობელ მტარვალს, რომ ცელქი და მახვილი გაგვებატონებია, ნუ თუ ჩვენ იმისთვის მოვიპოვეთ თავისუფლება, რომ უმწეო პირების სისხლით მოგვესვარა ხელები? ნუ თუ გლეხ-კაცობა არ უნდა აღშფოთდეს ასეთის ველურობის წინააღმდეგ? რათ უსპობთ სიცოცხლეს ადამიანებს, მარტო იმისთვის, რომ მათ ოდესმე რამე ჩაუდენიათ?

რა დაუშავეს ქალებმა და მცირე წლოვანმა ბავშებმა

ახალმა მთავრობამ გააუქმა წოდება, აღარ არის თავადი და აზნაური, ბატონი და ყმა. ყველა თავისუფალ ქვეყნის მოქალაქეა. ახალმა მთავრობამ ხალხის კუთვნილებათ გამოაცხადა მიწა, ის უნდა ჩამოერთვას მემამულეს, მაგრამ არავის არ აქვს ნება მემამულის პიროვნებას შეეხოს. დემოკრატია ვერ მოითმენს, რომ ამ თავისუფლების ხანაში თვითგასამართლებას ჰქონდეს ალაგი. და ის რაც ქართლში ხდება საზიზღარი თვითგასამართლებაა კერძო ჯგუფების მიერ მოწყობილი.

ყველა პატიოსანი სოფლის მუშა ვალდებულია მშვიდობიან შრომას შეუდგეს, სოფელი ვალდებულია თვით გაუმკლავდეს ბოროტ და ავაზაკ პირებს. დავიჯეროთ, რომ სოფელი არ იცნობს თავის ულირს წევრებს?

როცა კარს გარეშე მტერი მოგვდგომია და განადგურებას გვიქადის, როცა შინ შიმშილის აჩრდილი აგვტუზვია, ამ დროს გაორკეცებული შრომა და ენერგიაა საჭირო თავის დასაცავათ. ყველა შეგნებული მოქალაქე საზღვრების დასაცავათ მიეშურება, ვინც შინ არის ის ყანების დამუშავებას ანდომებს დროს. შეხედეთ პატარა გურიას: რა საუცხოვო წესრიგია იქ დაცული, აგერ მეორე წელიწადში გადადგა რევოლიუცია და გურიაში ერთი თავადისთვისაც ხელი არავის უხლია. გურიამ იცის, რომ თავადი ჩვეულებრივი ადამიანი იქნება მას შემდეგ, როცა მას მიწებს ჩამოართმევენ. ამიტომ იქ მიწის კანონის ცხოვრებაში გატარებას შეუდგენ. ქართლში და ზოგიერთ სხვა ადგილებში კი მკვლელობით და ძარცვა-გლეჯით შეირცხვინეს თავი.

დროა ბოლო მოეღოს ამ ველურობას. სოფელს შეუძლია საკუთარის ძალით ალაგმოს ეს ბოროტი პირები და მთავრობის ჩარევა არ გამოიწვიოს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სოფელი ამას შესძლებს და ძალმომრეობას და ბოროტმოქმედებას ალაგი აღარ ექნება.

## ბალშევიკები და ოსმალეთი

უკანასკნელი ამბები რუსეთში და ჩვენში ბრმასაც კი დაანახვებს, რომ ბალშევიკების ზავის პოლიტიკა საბოლოოთ გაკოტრდა. თავდაცვის უარყოფა, თავდაცვის კონტრ-რევოლიუციონერობათ გამოცხადება, რომ დიდი უგუნურებაა, ეს დღეს ყველამ შეიგნო, გარდა რასაკვირველია გონება გაყინულ ბალშევიკებისა.

ამათ შორის კიდევ მოიძებნებიან ისეთები, რომელნიც თავდაცვის საკითხში კიდევ ყოყმანობენ, მოიპოვებიან ისეთნიც, რომელთაც საბოლოოთ დაუკარგავთ უნარი ცხოვრების გაგების და თავდაცვას ეწინააღმდეგებიან, ზოგნი კი მას ფარისევლურათ აღიარებენ, მაგრამ ფაქტიურათ უარყოფენ.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის კავკასიის შორის კომიტეტი ბალშევიკების.

ამ უკანასკნელმა დიდი მოწოდება გამოსცა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გერმანელების თავდასხმა მუშების, გლეხების და სალდათების წინააღმდეგ არის მიმართული, რომ ამგვარივეა შემოსევა ოსმალეთის ამიერ-კავკასიაში. ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცოდით, ჩვენ ამას იმ თავითვე ვქადაგებდით. განა ჩვენ არ ვამბობდით, რომ გერმანელების გამარჯვება ლახვარს ჩასცემს რევოლიუციურ ხალხს და გაახარებს ამ რევოლიუციის მტერს და მოშურნეს?

და აი ახლა, დაგვიანებით, მწარე გაკვეთილების შემდეგ, იგინიც ამ აზრამდე მივიდენ. 4 თვის მწარე გამოცდილება, აუარებელი მსხვერპლი, რუსეთის უდიდესი ნაწილის დაკარგვა შეიქნა საჭირო, რომ ამათ რევოლიუციის ანბანი შეეგნოთ.

მაგრამ სწორეთ ანბანის ამოყვანას ახლაც ვერ ახერხებენ.

მათ დღესაც ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება დაცვა ქვეყნის და რევოლიუციის არა ბალშევიკთან ერთათ. მათ აქაც უნდათ გაიმეორონ ის უგნურება, რომელიც რუსეთს დღემდე საკვნესათ აქვს გადაქცეული.

ისინი ახლაც უმეორებენ იმ ყოვლად საზიზღარ ჭორს, რომელსაც აქამდე ავრცელებდენ რევოლიუციურ დემოკრატიის შესახებ. აი მათი მოწოდების სიტყვები: „ხოლო უკანიდან ზურგში მახვილის ჩაცემას გპირობთ კონტრ-რევოლიუციური ბურჟუაზია და მისი მოკავშირენი—მემარჯვენე ესერები და მენშევიკები...მათ უნდათ თქვენი მიწები დაუბრუნონ ბეგებს, თავადებს, ბარონებს დ გრაფებს". განა რომელიმე ოდნავ სვინდისის მქონე ადამიანი იტყვის ამას კავკასიის რევოლიუციურ დემოკრატიაზე, რომელიც მენშევიკების დროშას მისდევს? განა სეიმის დადგენილება 7 მარტიდან აშკარათ არ ღაღადებს იმას, რომ მენშევიკებმა ჩამოართვეს მიწა ბეგებს, თავადებს, გრაფებს, კნიაზებს, კიდევ მეტი, ყველა მსხვილ მიწათმფლობელებს და გადასცეს იგი გლეხებს?

დიახ ეს ასეა, მარა ეს ვაჟბატონები მაინც ღვარძლს სთესენ, მაინც შინ დემოკრატიის შორის ბრძოლის და არეულობის გაჩაღებას ცდილობენ.

და ეს მაშინ, როცა გარედან უსასტიკესი მტერი დემოკრატიას კარს მოგვდგომია და მისი მოგერიება უდიდეს ენერგიის მოკრებას თხოულობს. ამის შემდეგ ისინი კიდევ ფარისევლურათ უწოდებენ გლეხებს და მუშებს შეიარაღდენ და ამ საფრთხეს იარაღით ხელში გაუმკლავდენ. მარა ამის მთქმელთ ისე აქვთ დაბნელებული გონება თავის წინანდელი დემაგოგიით, რომ ვერ ბედავენ ხალხს ურჩიონ თავდაცვა. ეს სიტყვა მათი ლექსიკონიდან ამორეცხილია.

ამის ნაცვლათ ისინი მთელ ევროპაში სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენაზე ზრუნვას უქადაგებენ. ოსმალეთს უნდა ვებრძოლოთ და იმავე დროს მენშევიკებსაც. ესე იგი ეს ბრძოლა უნდა შევასუსტოთ და ამით თურმე ევროპის რევოლიუცია გაჩაღდება. ასეთია ამ ბრძენთა პოლიტიკა.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, ევროპის მუშათა კლასი მთელი თავის ძალ-ღონით გვიჭერს მხარს და ხელს უწყობს ჩვენი ბრძოლის გამარჯვებით გათავებას. იგი ამისთვის ახდენს გაფიცვებს, დემონსტრაციებს და სხვა. მარა იგინი ჩვენებურ ბალშევიკებივით მატყუარანი არ არიან და ამიტომ თავის ლიდერების პირით გულწრფელათ გვეუბნებიან—ჩვენ ამ ჟამად სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ არ შეგვწევს ძალაო.

ბალშევიკები კი მაინც გაიძახიან, არა, უეჭველათ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია ხდებაო და ამით რუსეთის მუშებს და გლეხებს ილლიუზიებით კვებავენ, თავი ფანტაზიით ანუგეშებენ. კიდევ მეტი, ამ ფანტაზიისთვის იწვევენ საბრძოლველათ ცნობილი დონკიხოტივით...

მარა თუ ასეთია დონკიხოტობა კავკასიის კომიტეტის, სამაგიეროთ უფრო აშკარა და გულახდილია კომიტეტი ლანჩხუთელ ბალშევიკების.

ეს უკანასკნელნი აცხადებენ, რაკი ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია ხდება და იგი ყოველგვარ ბედნიერებას მოგვიტანს, ამიერ-კავკასიის საზღვრებზე ზრუნვა ზედმეტი ბარგიაო. ამიტომ იგინი მზათ არიან თათრების გული გაახარონ ბათუმ ყარს-არტაანის მიცემით. მართლაც ლოღიკა ამ შემთხვევაში მათ მხარეზეა: თუ სოციალიზმი ასე ახლოა, განა სახეირო იქნება თავი შევაკლათ ოსმალეთის ფაშებს ბათუმისათვის!

აქამდე მღვდლები და ბერები უქადაგებდენ გაჭირვებულ და გაძვალტყავებულ ხალხს: ამ ქვეყნიური ბედნიერება დასთმეთ, მოთმინებით იცხოვრეთ, ყოველი შევიწროება აიტანეთ და იქ ქვეყნათ ზეცაში სასუფეველს დაიმკვიდრებთო. და საწყალი ხალხი სტყუვდებოდა. მღვდლებს კვერებით და ჰრგვლათ მოხარშულ ქათმებით უმასპინძლდებოდა, თვითონ კი მშიერი დაწანწალებდა. მაგრამ რა მიუვიდა მათ საიქიოს, აქამდეც არავინ იცის. ვიცით მხოლოდ, რომ აქ, ამ ქვეყნათ ცხოვრება ჩამწარებული ჰქონდათ.

ახლა ლანჩხუთელი ბალშევიკებიც ასე გვიქადაგებენ: თათრები გაახარეთ, თავის ცხოვრება გაიმწარეთ, შეირცხვინეთ ვაჟკაცობა და ევროპის მუშები სამაგიეროთ სოციალიზმის ბედნიერებას მოგანიჭებენო. ჩვენ კი ვამბობთ, ოსმალეთს თუ მათ სურთ თვით ეყმონ, მათ ფაშებს თავის ბალშევიკური ხელმძღვანელები უძღვნან,—ჩვენ კი ჩვენს მიწა-წყალს და საარსებო პირობებს ცოცხალი თავით არავის დავუთმობთ. ჩვენ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლის ყიჟინასაც ასეთივე ბრძოლის ყიჟინით შევხვდებით და არა ლაჩრულათ ქედმოხრილი ლანჩხუთელი გზადაბნეული ბალშევიკებივით.

რევოლიუციონერ ხალხს არ შვენის სულმდაბლობა და ლაჩრობა, არც ფაშების მონობაა სასახელო და სანატრელი. ჩვენ გვინდა თავისუფალი ქვეყანა, თავისუფალი დემოკრატიით, რომელიც მზათ იქნება მომავალი ბედნიერებისთვის საბრძოლველათ.

და ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია ამ მებრძოლ პოზიციიდან არ გადაუხვევს. ვიცით, რომ იგი არავის შეარჩენს თავის შერცხვენას. ბალშევიკების მოღალატურ პოლიტიკას იგი სასტიკათ ჰგმობს და თავის ნაცადი, რევოლიუციონური გზით გასწევს ბრძოლის ველისაკენ.

# პრესა

პაწაწკინტელა „ჩვენი რესპუბლიკა" მაინც არ იშლის თავისას:

„ჩვენ ვსთქვით, რომ ნორმა დიდია, ადერბეიჯანის ზეგავლენით არის მიღებული და ჩვენ გლეხებს ამ ნორმით მიწის ფონდი ძალიან ცოტა მოუგროვდებათქო".

ეს თავის მოკატუნება იმისთვის დასჭირდა გაზეთს, რომ თავის გულის ნადები დაემალა. თორემ ვინ არ იცის, რომ ამ „გლეხთა პარტიის ორგანოს" სეიმის არსებობა და მისი კანონმდებლობა თვალში ჭირივით ეჩხირება. ახლა იმას და ჩასჭიდებია, „მიწის ნორმა დიდიაო". მაგრამ აი ჩვენ ვიცით გურიის გლეხების დადგენილება. მიწის სივიწროვე გურიისთანა არც ერთ კუთხეში არ არის. მაგრამ იქაურმა გლეხებმა თავის ყრილობაზე დაადგინეს მემამულეებს დაუტოვონ 20 ქცევა ე. ი. 7 ნახ. დესეტინა—ნახევარი დესეტინით მეტი, ვინემ სეიმმა დაადგინა.

ამ რიგათ შეიძლება ითქვას, რომ ნორმა სეიმს გურიის და საერთო საქართველოს გავლენით მიუღია და არა ადერბეიჯანის. მაშ რა საბუთით აყენებს ასეთ ბრალდებას „ჩვენი რესპუბლიკა"? ცხადია დემაგოგიის დაფნის გვირგვინი არ აძლევს მოსვენებას ამ „გლეხთა (?) პარტიის" გაზეთს.

* * *

„სახალხო საქმე"-ში შ. ნუცუბიძე კითხვებს გვისვამს:

„1) ააცდინეთ თუ არა თქვენ ქართველი ერი ეროვნულ პოლიტიკას?

2) არის თუ არა ქართველი ერი მომზადებული შექმნილ მდგომარეობის თავიდან ასაცდენათ?

ჩვენი თეზისებია: თქვენ ს.-დ. ააცდინეთ ქართველი ერი ეროვნულ განვითარების გზას და ამის უცილებელი შედეგია მისი მოუმზადებლობა დღევანდელ მომენტისათვის. ქართველი ერის პოლიტიკა იყო ს.-დ. პოლიტიკა, თუ დაიღუპა ქართველი ერი, ისტორიის და მომავალ თაობის წინაშე პასუხი უნდა აგოს სოციალ-დემოკრატიამ".

მართალია ამ კითხვების დასმაში ბ. შ. ნუცუბიძე დიდ გაურკვევლობას იჩენს. მაგ. იგი არ ხსნის თუ რას უწოდებს იგი „ეროვნულ პოლიტიკის" გზას. თუ მას ჰგონია, რომ ეროვნული პოლიტიკა, ე' ნაციონალისტური პოლიტიკაა, რომელსაც გვიქადაგებდენ ს.-ფედერალ. და სხვა ნაციონალ., ღ რომელსაც აწარმოებენ სომხის დაშნაკელები, ჩვენ თამამათ ვეუბნებით: ჩვენ ასეთ პოლიტიკას არ ვაწარმოებთ, არც მიგვაჩნია იგი სასარგებლოთ. მაგალითი სომხის ერის და სხვების თვალ წინ გვაქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ არავითარ ეროვნულ პოლიტიკას. პირიქით. მარა ესაა პოლიტიკა დემოკრატიული, კლასობრივი, და მით უაღრესათ ეროვნული.

ასე რომ ეროვნული პოლიტიკა ნაციონალისტების უარყოფილია, ეროვნული პოლიტიკა დემოკრატიის აღიარებულია. პირველი ერთა დაპირდაპირებაზე შენდება, მეორე ყველა ერის დემოკრატიის სოლიდარობასა და შეთანხმებულ მოქმედებაზე.

სწორეთ ამით ჩვენ გვაქვს გავლენა სხვა ერებზე და საერთო თანაგრძნობა და სიმპატია ყველა მეზობელ ერებში.

აბა სცადოს ბ. ნუცუბიძემ—დაამტკიცოს წინაამდეგი. მეორე კითხვაზეც უნდა ვუპასუხოთ ბ. შ. ნუცუბიძეს, რომ ჩვენი მომზადების, თუ მოუმზადებლობის განხილვა შეიძლება იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. აბა შეადაროს შ. ნუცუბიძემ—რევოლიუციის საერთო მდგომარეობა რუსეთში და ჩვენში, მომზადება და მწყობრი მოქმედება იქ და აქ, და მაშინ გვითხრას: ჩვენ შევძელით თუ ვერა მიუხედავათ საერთო ანარქიისა ყველაფრის შერჩენა, რის შენარჩუნებაც კი შეიძლებოდა. და მეორე რომ დაგვიმტკიცოს ბ. შ. ნუცუბიძემ—სახელდობრ ის, რომ ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოება უკეთეს პირობებს შექმნიდა ჩვენში და უკეთეს მომზადებას მოგვცემდა. გავახსენებთ თუნდ ნაციონალურ ჯარის მოქმედებას. აი ეს ჯარი ხომ მათი ეროვნული პოლიტიკის თანახმათ იქნა შედგენილი. და აბა იანგარიშოს ბ. შ. ნუცუბიძემ—რამდენი ენერგია წაიღო ამ ჯარის დეზორგანიზატორულ მოქმედებასთან ბრძოლამ.

ქართველი ერის პოლიტიკა იყო ს. დ. პოლიტიკა და არის დღესაც. ამიტომ იგი ასეთ გაკვირვებას და განცვიფრებას იწვევს ყველაში, ვინც მის მუშაობას და მოქმედებას გაეცნობა. და ჩვენ არ გავურბივართ პასუხისმგებლობას ისტორიისა და მომავალ თაობის წინაშე, პირიქით ჩვენ სწორეთ ამ მომავალი თაობისთვის ვიღწვით და სწორეთ მისგან ველით შესაფერ დაფასებას...

ჩვენ არ ვამბობთ, რომ შეცდომა არ მოგვივა. არც კრიტიკას გავურბივართ. პირიქით ყოველგვარ შენიშვნებს სიამოვნებით ვიღებთ. მარა ისეთი შეცდომა არ მოგვივა, რომ ნაციონალისტურ გზას დავადგეთ. სოციალ-დემოკრატიულ ხაზს კი ვეცდებით სრული სისწორით გავყვეთ. გამოცდილებით დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ ეს ხაზი მიგვიყვანს გამარჯვებამდე.

# მარქსიზმი და ჩვენი იმედები

დღეს შესრულდა 35 წელი მას შემდეგ, რაც ლონდონში გარდაიცვალა მეცნიერული სოციალიზმის მამათ მთავარი კარლ მარქსი. იმ ადამიანის სახელის მოგონება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ იდეოლოგიას, რომელმაც მეცნიერულათ დაასაბუთა პროლეტარიატის საბოლოო მიზანი, ყოველთვის ძვირფასი იყო ჩვენთვის. მაგრამ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კ. მარქსის მოგონებას. დღეს, როცა ჩვენი რევოლიუცია განსაცდელშია, როცა ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება ლამის არის ხელიდან გამოგვგლიჯონ, დღეს, რევოლიუციის წლის თავზე, ერთგვარი იმედის გრძნობით ვიგონებთ კ. მარქსის სახელს და მის მიერ შექმნილ მოძღვრებას.

ყველას გვახსოვს ის აღფრთოვანება, საერთო სიხარული და პირველი გატაცება, რომელსაც ჰქონდა ადგილი რევოლიუციის პირველ დღეებში. ძველი წყობილებით უკმაყოფილო აღმოჩნდა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა. ამ გარემოებამ მიანიჭა გამარჯვება რევოლიუციას, ამ გარემოებამ მისცა მას საერთო სახალხო ხასიათი. რევოლიუციის მიერ წამოყენებულ კითხვებს მხარს უჭერდა ფართო მასსა. და თუ რევოლიუცია ბოლომდის შეინარჩუნებდა ამ საერთო სახალხო ხასიათს, თუ მისი მიზანი იქნებოდა მცხოვრებთა უმრავლესობის მიზანი, რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნებოდა. რევოლიუციას მიზნათ უნდა დაესახა ისეთი წყობილების დამყარება, რომლის აუცილებლობა გამომდინარეობს რუსეთის დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობიდან, მისი საწარმოვო ძალთა განვითარებიდან. ნახევრათ ფეოდალურ ქვეყანაში, სადაც დღემდის არსებობდა თვითმპყრობელობა, ეს პოლიტიკური გამოხატულება თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ბატონობისა, ასეთ წყობილებათ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილება. ასე ხდებოდა დაწინაურებულ ქვეყნებში, ფეოდალურ წყობილებას სცვლიდა წყობილება ბურჟუაზიული და არა სოციალისტური. ამ ისტორიულ კანონს აღიარებს მარქსიზმიც. და სანამ ჩვენი რევოლიუცია საერთოთ ემსახურებოდა ამ მიზნის განხორციელებას, მან შესძლო მთლიანობისა და სიმტკიცის შენარჩუნება.

მაგრამ, როგორც ყველა რევოლიუციებში, ჩვენ რევოლიუციაშიაც თავი იჩინა მაქსიმალისტურ მიმართულებამ, რომელსაც სხვადასხვა ისტორიულ პირობების გამო ერთობ ფართო ხასიათი მიეცა. მაქსიმალიზმს, რომელიც მოგვევლინა ბალშევიზმის სახით, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს მარქსის მიერ აღმოჩენილ კანონებს, მეცნიერულ სოციალიზმის დებულებებს მან შესტოპა უტოპიზმის სამფლობელოში და რუსეთში, სადაც მხოლოდ სულ რამდენიმე დღის უკან დაემხო თვითმპყრობელობა, სოციალისტური რევოლიუციის დროშაააფრიალეს, სოციალიზმის დამყარება მოინდომეს, ე. ი. დღევანდელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციას მოჰკიდეს ისეთი ტვირთი, რომლის ზიდვა მან ვერ შესძლო. რევოლიუციამ დაჰკარგა საერთო სახალხო ხასიათი, უტოპიურ მიზნების დასახვამ გამოიწვია სამოქალაქო ომი და ძმათა შორის დაღვრილ სისხლში იღრჩობა ნორჩი თავისუფლება. რუსეთის სხეული დაიფლითა, მთლიანი ორგანიზმი ცალკე ერთეულებათ დაქუცმაცდა. დემოკრატიის საერთო ფრონტი დაირღვა, დაიშალა. და დღეს, რევოლიუციის წლის თავზე, მთელი რუსეთის უზარმაზარი სივრცე წყვდიადით არის მოცული, თითქოს არსად არ სჩანს ნათელი წერტილი, კიდით-კიდემდე მძვინვარებენ ანარქიის ტალღები, რომლებიც ჩანთქას უპირებენ რევოლიუციის მონაპოვართ. და ამ წყვდიადში, ანარქიის ტალღებში მოსჩანს მხოლოდ რევოლიუციის თავზე დასმული კითხვითი ნიშანი, რომელიც თანდათან იზრდება.

ცხადია, ასეთ მდგომარეობაში ადვილათ შეიძლება ადამიანმა დაჰკარგოს იმედი გამარჯვებისა, ხელი აიღოს ბრძოლაზე და სულის მღონელ სასოწარკვეთილებას მიეცეს. მაგრამ, როცა ასეთ საბედისწერო წუთში ვიგონებთ კ. მარქსის სახელს, ჩვენს აღმაფრენას კვლავ ფრთები ესხმება, იმედის შუქი კვლავ გვინათებს გზას და საბრძოლველათ გვამხნევებს. ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუცია დღევანდელ საბედისწერო მდგომარეობაში ჩავარდა იმის გამო, რომ ბალშევიკების მოქმედებაში ნიშან-წყალიც არ არის მარქსიზმისა. მარქსიზმის თანახმათ პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს და ამნაირათ მისი ბატონობა ნიშნავს უმრავლესობის ბატონობას. სოციალისტურ ექსპერიმენტებს მაშინ შეუძლია გამოიღოს შესაფერი ნაყოფი, როცა არსებობს ამისთვის საჭირო ობიექტიური პირობები, როცა კაპიტალისტური წარმოება უაღრესათ არის განვითარებული, როცა არსებობს სამრეწველო პროლეტარიატის მთელი არმია. პროლეტარიატი—აი მთავარი მატარებელი სოციალისტური მოძრაობისა, აი ვის აქვს დაკისრებული სოციალიზმის განხორციელების მისია. ბალშევიკებმა კი სამრეწველო პროლეტარიატის როლი ტამბოველ გლეხს, „დარბევაში გაწაფულ" სალდათებს დააკისრეს. ამ ნაირათ მათ უარყვეს მარქსისტული გზა და თავის მიზანს მხოლოდ სურვილები დაუდვეს საფუძვლათ.

ამან გამოიწვია რევოლიუციის დასუსტება. მაგრამ იგივე მარქსიზმი გვეუბნება, რომ დამარცხება იმ მოძრაობის, რომელიც მიზნათ ისახავს დაამყაროს დემოკრატიზმი ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში, ყოვლად შეუძლებელია. და ეს იმიტომ, რომ ამ მიზანს საფუძვლათ უდევს თვით სინამდვილე, ცხოვრების განვითარებიდან გამომდინარე პირობები. თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება—აი რა არის შესაძლებელი და თან აუცილებელი დღეს რუსეთში და თუ სოციალისტური ექსპერიმენტები დამარცხდა, ეს ადვილი ასახსნელია ჩვენთვის, როცა მარქსისტულ თვალსაზრისს მოვიმარჯვებთ. მარქსიზმი გვეუბნება აგრეთვე, რომ მასსა სწავლობს თავის შეცდომებით, ცხოვრების მწარე გაკვეთილები მისთვის უდიდესი სკოლაა. რუსეთის მუშათა კლასმა ამ მხრივ დიდი სკოლა გამოიარა. მან თავის ზურგზე განიცადა ბალშევიზმის სრული სიკოტრე და დღეს უკვე გამოფხიზლების გზას ადგია. და ეს არის ბრწყინვალე წერტილი, რომელიც გამოკრთის წყვდიადით მოცულ რუსეთის სივრცეში და რომელიც იმედის ნაპერწკალს აღვივებს ჩვენში. ჩვენ გვწამს, რომ დიდებულ მარქსის მეცნიერული მოძღვრება, მისი მოღვაწეობის 35 წლის თავზე ერთხელ კიდევ მოაგონებს ჩვენ უტოპისტებს თავის დაბნეულ გზიდან შემობრუნების საჭიროებას და მიუთითებს მუშათა კლასს სწორ გამოსავალს იმ უკიდურეს მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი მარქსიზმის გზიდან გადახვევამ მიიყვანა.

მარქსიზმი კვლავ გაიმარჯვებს და მასთან ერთად გაიმარჯვებს რევოლიუცია.

ვ. ნიკურაძე

# ქართველ ერს

**ქართველებო, ისმინეთ ხმა გურიისა!..**

კახნო ფარ-შუბით ქებულნო, თუშნო ხმლით, მკლავით ძლიერით ქართლელნო, ზრდილნო იმერნო, მტერთა მიმცემო რიცხვისა, მკვირცხნო მეგრელნო, აბჯარჩაჩქნითა, მუზარად—ჯავშნით—რკინის პერანგა ფშავ ხევსურებო, შორიდან სალამს გიძღვნის გურული და გეუბნება: სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია.

ისმინეთ დედა-სამშობლოს კვნესა—ჩივილი.

ჩვენს ქვეყანას ასეთი განსაცდელი ჯერ არ უნახავს, ჩვენ გვყავდა მეფე—თვითმპყრობელი, აღარ გვყავს, მოვიშორეთ. ჩვენ გვყავდა მემამულე თავადები, მათ მიწაზე მათთვის ვმუშაობდით; აღარ გვყავს და მიწა ჩვენს ხელში გადმოვიდა, ჩვენ ტყავს გვაძრობდენ სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკები და ჩვენ ხმას ვერ ვიღებდით; დღეს კი თავისუფლები ვართ, ამ საერთო თავისუფლების მოპოებაში რუსეთის დიდი რევოლიუციის დროს ქართველებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. სამაგიეროთ რუსეთის ბალშევიკებმა ოსმალეთის სულთანს, ოსმალეთის თვითმპყრობელ მეფეს, ფეშქეშათ მიართვეს ამიერ-კავკასიის კარი—ყარსი და არდაგანი, უთავაზეს საქართველოს თვალი, ვაჭრობა-მრეწველობის ბოლაზი—ბათუმი და ზედ დაურთეს ჩვენი ძმების სამშობლო აჭარა-ქობულეთი. ეს კუთხე ძველი მესხეთია, ჩვენი სიამაყე შოთა რუსთაველის აკვანია. მესხეთში აინთო კულტურის ლამპარი, ეს ლამპარი ოსმალეთმა ჩააქრო: ახლა კი ლამობს ჩვენშიაც შემოიჭრას და მოპოებული თავისუფლება ხელიდან გამოგვაცალოს.

ცხადია, როცა აჭარა-ქობულეთში ოსმალო გაბატონდება, იქ ის შემოიღებს თავისებურ მართვა-გამგეობას.—ბეგებს მისცემს ფაშობას, ხალხს კვლავ დაიმონებს და მოგვისევს, უნდა გაჩაღდეს ძმათა შორის შუღლი და ბრძოლა. მადა გახსნილი ოსმალო არ დაყაბულდება ბათუმსა და ბათუმის ოლქს და ის წაეპოტინება საქართველოს სხვა კუთხეებსაც, თუ გინდ არ წაეპოტინოს, განა ჩვენ შეგვიძლია უბათუმოთ ვიცხოვროთ და ვისულგმულოთ?

„ვით სპილო სპილოს არ ვარგა
თუ მას არა აქვს ხორთუმი,
ისე ქართველი ქართველათ
თუ მას წაართვეს ბათუმი".

ასე სთქვა აკაკიმ და მართალიც სთქვა.

თუ რა მოყვება ჩვენს მეზობლათ ოსმალეთის გაბატონებას, ეს ჩვენ გურულებმა კარგათ ვიცით. გურიაში ჯერ კიდევ არის დედა, რომელიც სტირის ოსმალეთში ტყვეთ წაყვანილ შვილს, არის დედა, რომელიც მოსთქვამს ტყვეთ წაყვანილ სულთანის ჰარამხანაში გაყიდულ, ნამუს ახდილ ასულს. შეუძლებელია და აუწერელი კვლავ იმის წარმოდგენა, რაც იყო ამ 40 წლის წინად. ჩვენ წინ მივიწევთ და არა უკან და ოსმალეთის ბატონობა ჩვენზე კი იქნება ჩვენი მოსპობა, განადგურება, გადაგვარება და გაველურება. ეს იქნება საქართველოს ხელ-ფეხისა და თავის მოჭრა, ეს იქნება დედის ძუძუების დაჭრა, ეს იქნება ქალთა ნამუსის ახდა და ამას, თუ არ სისხლ გაყინული, თუ არ სამშობლოს მოღალატე და გამცემი, ვერ მოითმენს და ვერ მოვითმინეთ ვერც გურულებმა.

გურიამ გადასწყვიტა და ფიცი დასდო, გაწყდეს ყველა განურჩევლათ პარტიისა და წლოვანება—სქესისა და მტერს სისხლით მოპოებული ერთი მტკაველი მიწაც არ დაუთმოს, გურია, როგორც ერთი კაცი, ყველა დადგება საზღვარზე და სანამ კი პირში სული უდგას მომხდურ, ვერაგ მტერს ზურგს არ უჩვენებს, მაგრამ ძმებო, როცა გურია მოისპობა, მტერი მერე საქართველოს სხვა კუთხეს გაანადგურებს—აი ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ და გეუბნებით:

ერთი ყველასათვის, ყველა კი თავისუფლებისა ღ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის.

ან ერთად გმირული სიკვდილი, ან ერთად ბრწყინვალე გამარჯვება, ერთ დღეს ვართ დაბადებული, ერთ დღესვე დავიხოცებით; და, თუ სიკვდილი მოგველის, დაე, მოვკვდეთ და დედა სამშობლოს მტლათ დავედოთ.

აღვსდგეთ ძმებო, აღვსდგეთ ქართველებო და მტერს დავუმტკიცოთ, თუ რის მქნელია გაღვიძებული ერი.

ძალა ჩვენს ერთობაშია, **გაუმარჯოს ამ ერთობას. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ კავკასიაში!!**

გურია მოელის თქვენს პასუხს.

**რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი.**

# კავკასიის ფრონტი

შავი ზღვის პირად ცვლილება არ მომხდარა.

სარაყამიშის მიმართულებით 10 მარტს დილით ოსმალებმა რეგულიარული ქვეითი ჯარით, არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით შემოტევა დაიწყეს და ყუმბარები დაუშინეს კარაურგანს.

ჩვენი რაზმი ამ ადგილიდან უკან თანდათან იხევს.

შავ ზღვის პირად მდებარე ადგილების დაზვერამ შემდეგი გამოარკვია:

ოსმალეთიდან ჩამოსული ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, ლიმანი დაკავებული აქვს მე-37 დივიზიის მე-109 ქვეითი პოლკის ოსმალთა ჯარის ნაწილებს. მე-109 პოლკის ბათალიონი და შტაბი იმყოფება ხოფაში, იქ არის აგრეთვე მცირე რიცხოვანი ცხენოსანი ჯარი. ხოფაში ნავებით მოუტანიათ 15 სამთო ზარბაზანი.

ერზერუმის რაიონიდან კარაურგანზე იერიშით წამოსული ჯარები შეიცავენ—ორბათალიონ ქვეითი ჯარს და ერთი ესკადრონ ცხენოსან ჯარს, რომელთაც თან აქვთ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები.

# ამიერ-კავკასიის ამბები

**სად. სადახლო** (ყარსის გზა). რკინის გზის აგენტი ტოგონიძე 11 მარტის თარიღით შემდეგს ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს:

11 მარტს 5 საათსა და 15 წუთზე, მესამე ნომერ მატარებელს მუსულმანებმა სროლა აუტეხეს. მოკლულია სადგურის მორიგე. სადგურში შემოსასვლელი ლიანდაგები გაფუჭებულია. მოსამსახურენი ქვეითად გაემგზავრენ სად. აშაგა-სერალში.

12 მარტის თარიღით ვალ. ჯუღელი შემდეგს ატყობინებს კომისარიატს: სადახლოში მოვედით. საღამოს სროლა იყო. სადგური ჩვენ დავიკავეთ. ჩვენ დაგვიჭრეს 11 კაცი. სად. აირუმთან იმყოფება რაზმი, რომელიც ჩვენდა დასახმარებლათ მოდის. დილით ამ რაზმთან კავშირს გავაბამთ და შევუდგებით საქმეს.

12 მარტს ღამით ვალ. ჯუღელისაგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც იტყობინება: თავდამსხმელი ბრბო დავაპატიმრეთ, 25 ტყვიის მფრქვეველი ჩამოვართვით. მცხოვრებნი შეგვპირდენ დანარჩენ გატაცებულ იარაღსაც დაგიბრუნებთო.

**ახალციხე.** 12 მარტი. გენერალი არჯევანიძე ამიერ-კავკასიის მთავრობას ატყობინებს: ამ ჟამად ვიმყოფები ახალციხეში. აბასთუმანიდან აქ მოვიდენ წითელ-გვარდიელები. მდგომარეობა თითქოს თანდათან უმჯობესდება. დაპატიმრებული მუსულმანები ყველა გავანთავისუფლეთ. ყოველგვარი ზომებია მიღებული ცხოვრების წესიერ კალაპოტში მოსათავსებლად.

**ევლახი.** 11 მარტი. კომისარი ბებუთოვი იტყობინება: მშვიდობიანათ მოვედი ევლახში. რკინის გზის ლიანდაგი დაუზიანებელია. მივდივარ შუშაში.

# ბათუმის ამბები

ბათუმის ქალაქის თავი საბახტარიშვილი 12 მარტის თარიღით შემდეგს იტყობინება: ე. კრინიცკის ერთი მკვლელთაგანი დაპატიმრებულია, თანდათან ირკვევა, თუ რა სარჩული ჰქონდა ამ მკვლელობას. ყოველ შემთხვევაში, მკვლელობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი არ აქვს. დაპატიმრებული ერთი მისი მილიციონერთაგანია. ის უკვე გამოტყდა და მკვლელობის ორი მონაწილე კიდეც დაასახელა. ესენიც მილიციონერები არიან. ეს მკვლელობა კრინიცკისა და მის თანამოსამსახურეთა შორის სამსახურის ნიადაგზე შექმნილი მდგომარეობით უნდა იყოს გამოწვეული. მკვლელი ქართველია, გვარათ შეწირული. ყოველივე ზომებია მიღებული ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენათ. მკვლელებს გაასამართლებს სამხედრო სარევოლიუციო სასამართლო.

ფლოტის საქმე თანდათან უმჯობესდება. გუშინ ჩვენი სამხედრო ფლოტილია ხოფასკენ გაემართა. როგორც ამბობენ, ამ ამბავმა თურმე დიდი გავლენა მოახდინა ამ რაიონში მყოფ ოსმალთა ჯარებზე. ფლოტი მშვიდობიანათ დაბრუნდა. ტრაპიზონში გუშინწინ გაიგზავნა ტრანსპორტი „ვეჩე". ახალი ჯარები თითქმის ყოველ დღე მოდიან ბათუმში.

დღეს აქ დაიწყო მობილიზაცია.

დახურეს ბალშევიკების გაზეთი „ბურევესტნიკი".

# ჩრდილო კავკასიის ამბები

13 მარტს კავკავიდან შემდეგი ცნობა მოვიდა თფილისში:

პიატიგორსკიდან ყრილობის შემდეგ სახალხო კომისარების საბჭო კავკავში გადავიდა და ძალა უფლება ხელში ჩაიგდო.

ჩაჩნებმა, ინგუშებმა, ყაზახებმა და ოსებმა სცნეს ეს მთავრობა იმიტომ, რომ მათ იმედი აქვთ ბალშევიკები მათ დახმარებას გაუწევენ და გაუთავებელ ეროვნულ ბრძოლას ბოლოს მოუღებენ, მაგრამ ეს ტყუილი იმედია. ბალშევიკები მათ ვერას გაუკეთებენ და ეს პირველ შეტაკებაზედვე აშკარა შეიქნება.

კავკავში ყველა ავტომობილების რეკვიზიცია მოახდინეს, ამათში 9 ავტომობილი თფილისის სასურსათო კომიტეტს ეკუთვნის.

რკინის გზაზე მიმოსვლა მთელ ჩრდილო კავკასიაში ნორმალურათ არ სწარმოებს.

მთელი ჩრდილო კავკასია, ზოგიერთ სტანიცების გარდა ბალშევიკების ხელშია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათ იმდენი რეალური ძალა არ აქვთ, რომ გაჭირვების დროს აქტიური ბრძოლა გასწიონ თავიანთ ზომების განსახორციელებლათ ღ ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ.

თერგის ოლქიდან ცენტრის წევრი ფალავანდიშვილი პირდაპირი მავთულით იტყობინება: „მთელ ოლქში კვლავ გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ოლგანის და ბაზარკინის აულებს შორის საარტილერიო ბრძოლაა. წავედი ჩაჩნებში და მინდოდა ინგუშები და ოსები მომერიგებინა, მაგრამ ამაოთ. ინგუშები მზათ არიან ყოველგვარ დათმობაზე, მხოლოდ ოსებთან ვერაფერი გავარიგე, მათ კატეგორიულათ განმიცხადეს, რომ არავითარი მოლაპარაკება არ სურთ. 10 მარტს, როცა სამშვიდობო დელეგაცია გაემართა ყაზახებსა და ოსებთან მოსალაპარაკებლათ, თოფები დაუშინეს და დელეგაციის ერთი წევრი მოჰკლეს. ბრძოლა გრძელდება და ისეთ ხასიათს ღებულობს, რომ აღარ ვიცით რა გზას დავადგეთ. ჩაჩნებმა და ინგუშებმა განმიცხადეს, რომ მათ უნდათ ამიერ კავკასიის დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად იმოქმედონ. ჩაჩნებში გამოჩნდა ვიღაც ავანტიურისტი იუზუმჰაჯი, რომელიც ხმებს ავრცელებს ხალხში, რომ ჩქარა ოსმალები მოვლენ და მთელ კავკასიას და დონის ოლქს დაიპყრობენო. მე ბრძოლა გამოვუცხადე ამ ავანტიურისტს. ერთი ავანტიურისტი მუტუშევი გაიქცა და იმედი მაქვს ეს მეორეც მას მიჰყვება. საჭიროა მოწოდების გამოშვება ამიერ კავკასიის დემოკრატიის სახელით, რომ ოსმალეთიდან მათთან ერთი ჯარისკაცი ვერ გადმოვა და სხ.

მდგომარეობა ისეთია, რომ ამ განაწამებ ხალხს ერთად-ერთი იმედი ამიერ კავკასიის დემოკრატიის აქვს და თუ ის დაეხმარა, შეერთებული ძალით შესაძლო იქნება ამ საშინელ გამანადგურებელ ძმათა შორის სისხლის ღვრას ბოლო მოეღოს.

ჩაჩნებს და ინგუშებს ერთად-ერთი იმედი ამიერ კავკასიის დემოკრატიის აქვს.

# ერობის გარშემო

(სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის და საერობო კომისიების საყურადღებოთ).

დასავლეთ ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების საქმის მოსაწყობათ უკვე დაგზავნილია შესაფერი ინსტრუქტორები საგუბერნიო და საოლქო კომისრებისა და აღმასრულებელ კომიტეტებისადმი. ჯერხნობით უნდა შემოღებულ იქნას **სამაზრო ერობა**, რომლისათვის მაზრებში ეწყობა **სამაზრო კომისიები** სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებისაგან. კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობს მაზრის ინსტრუქტორი. საერობო არჩევნების წესი და კანონთა დებულებანი უკვე დაგზავნილია საოლქო და გუბერნიო კომისარებისადმი, რომელთაგან სამაზრო საერობო კომისიებმა დაუყონებლივ უნდა მოითხოვონ საარჩევნო წესისა და კანონთა დებულებანი, თუ მათ აგეთები ჯერ არ მიუღიათ. ყოველგვარი შეკითხვებით საერობო არჩევნების მოწყობის შესახებ უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების მთავარ ინსტრუქტორის სამდივნოში, რომლის მისამართია: თფილისი, პეტრე დიდის ქუჩა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის სამდივნოს ბინა:

მთავარ ინსტრუქტორის სამდივნო.

მთავარი ინსტრუქტორის ამხანაგი
**ტიტე მარგველაშვილი.**
მდივანი აღანია.

უმ. ვთხოვთ ყველა გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ეგ მიმართვა.

# ახალი ამბები

ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სასურსათო კომისარის წინაშე, რათა თფილისის სურსათის საქმე გამოყოფილი იქნეს საგუბერნიო კომიტეტიდან, და ისეთივე უფლებით იქნას აღჭურვილი ქალ. თვითმართველობა, როგორც გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

◆ **კავკავში ფქვილის გადმოსაზიდათ** გაგზავნილი ავტომობილები თფილისში დაბრუნდა. ეს ავტომობილები მეტად დაზიანებულა იქ უკანასკნელად მომხდარ ამბების დროს. ამ ჟამად კავკავი ბალშევიკების ხელშია და ავტომობილებიც მათ გამოუშვიათ. არ არის განთავისუფლებული მხოლოდ შოფერი როლოვი და მისი ავტომობილი, რომელიც ოსებმა ჩაიგდეს ხელში.

◆ **სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების** დამხმარე კომისია აცხადებს, რომ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს სახაზინო დახმარება მარტისათვის ჯერ არ მიეცემათ ბონების სიმცირის გამო. ფულის დარიგების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ფულის მიღების დროს უნდა მოიტანონ მოწმობა იმ ჯარის ნაწილიდან, სადაც მათი ოჯახის წევრი იმყოფება, ან და სამხედრო უფროსიდან თუ როდის იქნა გაწვეული ჯარში.

◆ **მილიციის უფროსი** მოუწოდებს ყველა მილიციონერებს, რომ მათ თვალყური ადევნონ ავტომობილებს, რათა შოფერებმა ჩქარა არ ატარონ, რასაც ბევრი მსხვერპლი მოსდევს. ის შოფერი, რომელიც სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს და საათში 13—14 ვერსზე მეტს გაივლის, სასტიკათ დაისჯება.

◆ **რკინის გზის მილიციის უფროსის თანაშემწედ** დაინიშნა ბერძენიშვილი.

◆ **მეაბრეშუმეობა.** კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურზე აბრეშუმის ჭიის თესლის მიღება მარტის 17-დან შესწყდება.

◆ **თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ.** საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მოხდება დღეს, 14 მარტს საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში.

◆ **თავდაცვის შტაბის** განკარგულებით სამი თვით ციხე მიუსაჯეს სომხეთა სამხედრო საბჭოს ექიმს გარეგინ გარუხანიანცს ქუჩაში სროლისათვის. ამავე შტაბის განკარგულებით შეიპყრეს შტაბს კაპიტანი ნიკ. ტამბოვცევი, რომელსაც აღმოაჩნდა დინამიტები.

◆ **სოფ. ხაშმის** (ივრის ხეობა). გლეხკაცობას გად უწყვეტია სოფელში სამეურნეო სკოლის დაარსება და სთხოვენ ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გაგზავნოს მცოდნე პირი საქმის მოსაწესრიგებლათ.

◆ **მკვლელობა.** 9 მარტს სამავოლის ქუჩაზე სროლა ასტყდა, წითელ რაზმელებმა შენიშნეს ჯარისკაცები, რომელნიც შეიარაღებულნი იყვენ და ისროდენ. წითელ რაზმელებმა შვიდ ჯარისკაცს იარაღი აყარეს, ერთი მათგანი სიგოევი კი არ ნებდებოდა და დაიწყო სროლა. ის იქვე იქნა მოკლული.

◆ **დაკარგული ბავშვი.** გასული წლის ივლისში დაიკარგა ნოე გაიოზის ძე თოდუა; იქნება ცამეტი წლის, ობოლია, არავინ მახლობელი ნათესავები არა ჰყავს, ნაყვავილევია. ტანათ პატარა არაა. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის ამ ბავშვის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, ხვარბეთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოში კოწია კვარაცხელიას.

[illegible]

## პროვინციის ქრონიკა

[illegible]

## ქალაქის საბჭო

(12 მარტის სხდომა)

[illegible]

## გ. ნ. სმირნოვის ლექცია

[illegible]

## სომეხ-მუსულმანთა დამოკიდებულება

განჯა. ამიერ-კავკასიის სეიმის დელეგაცია [illegible] მირგადაიატი, ეზიდოვი-ავეტიკი საკიანი—ხორენი, ამასპიური ბაქოს მუსულმანთა და სომეხთა ეროვნულ კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთათ გაარჩია განჯის გუბერნიაში და მის მაზრაში სომეხ-მუსულმანთა გამწვავებული დამოკიდებულება, რომელიც აღმოცენებული იყო მე-219 პოლკის ქონების განაწილების ნიადაგზე და ერთხმათ დაადგინა: მე-219 პოლკის ქონება, რომელიც ინახება ქალაქის სომხურ ნაწილში ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების თანახმათ გადაეცა მუსულმანთა ეროვნულ საბჭოს მუსულმანთა კორპუსისათვის. იმ საკვებ სურსათს კი, რომელიც მიმოსვლის შეწყვეტის გამო სომხებმა დახარჯეს არ აუნაზღაურებენ მუსულმანებს.

9 მარტს შეთანხმების ეს პირობები ორივე მხარემ მიიღო და შეუდგენ კიდეც მის განხორციელებას.

დელეგაცია აღიარებს, რომ დღემდე არც განჯის გუბერნიაში, არც მის მაზრაში ნაციონალურ ნიადაგზე სომხებსა და მუსულმანებს შორის შეტაკებას ადგილი არ ჰქონია.

სულიერი განწყობილება როგორც სომხის ხალხის, ისე მუსულმანების უმრავლესობისა მშვიდობიანია და ორივე მხრის მიერ ამ გვარ შეთანხმებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ.

განჯაში მომხდარი შეთანხმების შემდეგ სეიმის დელეგაცია მოუწოდებს როგორც მუსულმანების, ისე სომეხთა ნაციონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რათა მათ კეთილ მეზობლური დამოკიდებულების განსამტკიცებლათ ამ ორ ერში ყოველივე ზომები მიიღონ, რომ შესაძლებელ იქნეს ნაციონალურ ნიადაგზე შეტაკების მოსპობა როგორც ერევნის გუბერნიაში, ისე სხვა ადგილებში, რომ შესაძლებელი გახდეს რკინის გზით დაუბრკოლებლივ მიმოსვლა ყველა მცხოვრებთათვის განურჩევლათ ეროვნებისა.

# ლევან დადიშქელიანის ხსოვნას

რიონმა ჩამოიტანა ამბავი საზარიანი:
ლეჩხუმის ყორნებს დაუდგათ ამინდი სადარიანი.
გადუჩეხიათ კლდის პირას არწივი მძლავრი ფრთიანი,
ობლათა გდია მამაცი მებრძოლი, შავი დღიანი...
სვავი მოჰქანავს გულ-დინჯათ, ლეშს ეძებს გულსისხლიანი.

რიონმა ჩამოიტანა მწარე ამბავი მთისაო:
მოჰკლეს მებრძოლი არწივი, შვენება სვანეთისაო,
მთებმა ჩაიცვეს შავები, ქვითინი ისმის ტყისაო,
ბუნება დამგლოვიარდა, სხივი დაბნელდა მზისაო...
მხოლოდ სვავ-ყორანთ უხარისთ, ნერწყვი მოუდის პირსაო.

რიონის ზვირთებს თან მოაქვთ სვანეთის წმინდა ცრემლები,
ლევანის მკერდზე დაღვრილი, მის ცხედრის დამასველები;
ზარს ეუბნების მდინარეს მთაი, მინდორი, ველები,
მათ კლდენი დინჯათ ყურს უპყრობს, ვით ჯავშნიანი მცველები...
ვაი, ცივ-გულზე რა ვაჟკაცს დაუკრეფია ხელები!

გულს რომ ტირილი სწყუროდეს, ეს დღეს რიგი და წესია:
დავკარგეთ გმირი ვაჟკაცი, რაინდი უკეთესია,
გულ-დათუთქულებს ცხედრის წინ ჩვენ ბევჯელ დაგვიკვნესია,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს—ასე გვაქვს ბედისგან განაწესია,
მაგრამ ნუგეშად ის გვაქვს, რომ მას ბევრი დაუთესია!

ფ. რუშაველი.

## სოხუმის ამბები

სოხუმში მომხდარ ამბების გამოსარკვევათ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დ. სულიაშვილი და ქრ. რაჭველიშვილი გაგზავნა.

ამ დღეებში ისინი სოხუმიდან დაბრუნდენ. დ. სულიაშვილმა შემდეგი გადმოგვცა.

გამწვავებული მდგომარეობა აფხაზთ და მეგრელებს შორის ფრონტიდან დაბრუნებულ გაბალშევიკებულ ჯარისკაცებმა შექმნეს.

ჯარისკაცებმა გადასცეს აფხაზთა ასეულის წინამძღოლი ემუხვარი მეზღვაურებს, რომელიც როგორც იციან ჩვენი გაზეთის მკითხველებმა, მეზღვაურებმა ის საშინლათ აწამეს და მოჰკლეს. ამ გარემოებამ დიდი შუღლი დაბადა აფხაზთა და მეგრელთა შორის, ამწვავებდა მდგომარეობას კიდევ ის, რომ მეგრელებს კარგი მიწები უჭირავთ, ვიდრე ჩვენო, გაიძახოდენ აფხაზები.

ეროვნულ საბჭოს დელეგატებს შეუერთდენ ზუგდიდის დელეგატები, რომელნიც ერთათ შეუდგენ მუშაობას. გაიმირთა მიტინგები დელეგატები ხალხს მოუწოდებდენ დამშვიდებისა და სოლიდარულათ მოქმედებისაკენ.

4 მარტს გაიმართა სოხუმის ოლქის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა. პირველ დღეებში ყრილობაზე დამოკიდებულება მეგრელთა და აფხაზთა შორის მწვავე იყო. ზოგიერთ გაბალშევიკებულ მეგრელთა უტაქტო გამოსვლამ კრებაზე ფრიად ცუდი ხასიათი მიიღო და მათი უტაქტიკო გამოსვლა იყო მიზეზი, რომ ისინი სასტიკად დამარცხდენ.

მწვავე ხასიათი მიიღო კრებაზე ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხმა.

მეგრელები წინააღმდეგნი იყვენ, რომ საბჭო მხოლოდ აფხაზების ხელში ყოფილიყო.

ფრაქც. შეთანხმებით ყრილობამ მიიღო რეზ., რომლის შინაარსი დაახლოვებით ასეთია: „აფხაზეთი სცნობს თავის თავს დამოუკიდებლათ, აარსებს სახალხო საბჭოს აფხაზეთისას, რომელშიაც შევლენ ყველა მცხოვრებთა წარმომადგენელნი, უმაღლეს მთავრობათ საბჭო სცნობს ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელსაც დაემორჩილება და ყოველივე დახმარებას გაუწევს".

ამავე კრებაზე ყრილობამ აირჩია გლეხთა საბჭო, რომელიც ვალდებულია კონტროლი გაუწიოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

ყრილობამ მიიღო შემათანხმებელი რეზოლიუცია მიწის საკითხის შესახებ, ასე რომ ორივე მხარემ მორიგებით გაათავეს საქმე.

ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ბალშევიკურ აგიტაციას ხალხში გასავალი აღარ აქვს.

## თავდასხმა გარეშე მტრისაგან

ბათუმიდან ჩამოვიდა ნოე რამიშვილი, რომელმაც შემდეგი გვიამბო:

ოსმალეთის დელეგაციის სულიერ განწყობილებას არავითარი ცვლილება არ ეტყობა.

ჩვენმა დელეგაციამ განუცხადა მათ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას ამიერ კავკასიის მთავრობის დაუდასტურებლათ არავითარი ძალა არ აქვსო.

ოსმალთა დელეგატებმა უპასუხეს, ამას ჩვენს მთავრობას ვაცნობებთო და მოვითხოვთ სახელმძღვანელოთ ინსტრუქციასო.

ოსმალეთის დელეგატებს შეთანხმების არა ეტყობათ-რა. მათთვის სულ ერთია ამიერ კავკასია დამოუკიდებლობას გამოაცხადებს თუ არა. დამოუკიდებლობის გამოცხადება მათ ვერ აიძულებს უარი სთქვან ყარსის, ბათუმის და არტაანის ოლქების შეერთებაზე.

კერძო ლაპარაკში ისინი აღნიშვნენ, ამიერ კავკასია იმდენათ სუსტია, რომ დამოუკიდებლათ ვერ შესძლებს თავის დამოუკიდებლობის შენარჩუნებასო.

ამიერ კავკასიის მიერ ოსმალეთის სომხეთის შესახებ საქმეში ჩარევის გამო ოსმალთა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა, ეს ჩვენი შინაური საქმეაო.

ჩვენს ფრონტზე მათ 8 ათასამდე კაცი ჰყავთ გამოგზავნილი. ჯარისკაცების ნაწილი კარგათ ჩაცმულ-შემოსილია, მცირე ნაწილი სრულიად ჩაგლეჯილია. ეს ჯარი სრულიადაც არ წარმოადგენს პირველხარისხოვან ჯარს. ოსმალები თავიანთ ჯარისკაცებს ეუბნებიან: ჩვენ მივდივართ საბრძოლველათ კი არა, არამედ დათმობილი ადგილების დასაკავებლათო. ამის მიხედვით ჯარისკაცები ბრძოლის ხასიათზე არ არიან.

სამხედრო ფლოტი, რომელიც ბათუმში ჩავიგდეთ ხელში, საბრძოლველათ მზათ არის. იმედი გვაქვს, რომ ახალ სამხედრო გემებს დაგვახმარებს ცენტროფლოტი. ამ საგანზე მოლაპარაკება გვაქვს. ბათუმი წინანდებურათ თავდაცვისთვის ემზადება გაფაციცებით. გამოცხადებულია მობილიზაცია ყველა მამაკაცებისა 40 წლამდე. აღფრთოვანება დიდია. სულ ახალ ახალი რაზმები მოდიან. მარტო ოზურგეთის მაზრა 10,000 კაცს იძლევა.

გენ. ლიახოვის დანიშვნის შესახებ საკითხი სრულიად მოიხსნა.

დროებით კომენდანტათ არის გენ. მდივანი. ახლო ხანში დაინიშნება მის ალაგას ცნობილი გენერალი გედევანოვი.

სურსათი ბათუმში საკმაოდ მოიპოვება. რაც საჭირო იყო თავდაცვისთვის, ყველაფერი ჩამოართვეს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ბათუმიდან გავიდენ. აეროპლანები საკმაოდ არის.

ერთი სიტყვით, ყველანი თავის ალაგას არიან და ემზადებიან. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ბათუმი ღირსეულად მოიგერიებს მტრის თავდასხმას.

(„ბორ.").

ღ. ხარაგოული. 23 თებერვალს ყვირილის მუშათა და გლეხთა საბჭოს მოწოდებით გაიმართა მიტინგი, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარემ გააცნო საზოგადოებას დღევანდელი მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა საბჭოს სახელით ამხ. ედიშერიძემ, ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა მოუწოდებდა ხალხს ერთსულოვან მოქმედებისათვის, რათა საერთო ძალღონით ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა სოლიდარობით თავი დავახწიოთ მომავალ საშიშროებას. ხალხი დიდის ყურადღებით უსმენდა მოლაპარაკეთ, მაგრამ ყველას აღონებდა ერთი გარემოება: ადგილობრივად თითქმის შიმშილია დაწყებული და ყველა იმას კითხულობდა, — ომში წავალთ, მაგრამ რა ეშველება ჩვენს ოჯახებს, მჭადს ვინღა მიაწვდისო... მიტინგმა ერთის ხმის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ხარაგოულის საზოგადოების მრავალ რიცხვოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ყვირილის მუშათა და გლეხთა დეპ. საბჭოს წარმომადგენელის, სცნობს რუსეთში ხიშტით გაბატონებულ ბალშევიკურ მთავრობის მოქმედებას დემოკრატიის დამღუპველად და სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სეიმს და საქართველოს ეროვნულ საბჭოს; აღუთქვამს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცოს სეიმისაგან წამოყენებული დემოკრატიული ზავის პირობები, რომელიც უზრუნველ ჰყოფს, როგორც თავისუფლებას, ისე ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ერების თავისუფალ განვითარებას და ფიზიკურ არსებობას". დამსწრე საზოგადოება თითქმის ერთხმათ მოითხოვდა მობილიზაციის ძალდატანებით მოხდენას და არა მოხალისეთა რაზმების შედგენას კრებაზე გამოითქვა სურვილი, რათა დაუყოვნებლივ ჩამოერთვას იარაღი ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთ და გადაეცეს სათანადო მთავრობას.

ხ. ვ.

ხორში (ზუგდიდის მაზრა). 4 მარტს ს. ხორში გაიმართა მრავალრიცხვოვანი მიტინგი. ადგილობრივმა კომისარმა გამოაცხადა სავალდებულო მობილიზაცია 19—25 წლამდე და მოუწოდა ხალხს სისრულეში მოიყვანონ მთავრობის დეკრეტი. ხალხმა ერთხმათ მიიღო მოწოდება და აირჩია კომისია, რომელსაც ევალება ეხლავე საჩქაროდ შეუდგეს სიის შედგენას, ვისთვისაც არის სავალდებულო. ამის შემდეგ მოუწოდეს ხალხს მოხალისეთა რაზმში ჩაწერილიყვენ. ბევრმა განაცხადა სურვილი.

მუშა პოლ. ანდრიაძე.

საჩხერე. 2 მარტს დ. საჩხერეში გაიმართა მრავალრიცხვოვანი მიტინგი. სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. ვასილ ბურჯანაძემ, ზაქ. გურულმა და სხვებმა, რომლებიც მოუწოდებდენ, როგორც თავისუფალ ხალხს, ისე ჯარისკაცებს, რომ ჩაწერილიყვენ და გამგზავრებულიყვენ ბათუმის დასაცავათ. კრებაზე დაესწრო ჭიათურა-ყვირილა და შორაპნიდან მოსული გვარდიელები, რომლებიც გამოწვეული იყო იმ მიზნით, რომ საჩხერე ამ დღეს მოელოდა პროვოკატორების წყალობით ოსების მიერ თავდასხმას. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „საჩხერის მრავალრიცხვოვანი მიტინგი, განურჩევლათ მიმართულებისა, ზიზღს უცხადებს მოძალადეების „მთავრობას", რომელთაც ჩვენ დაუკითხავათ გაჰყიდეს ჩვენი მხარე, პროტესტს უცხადებს ოსმალეთს, რომელმაც ჩვენი სახლკარის ძალით მითვისება განიზრახა; ზიზღს უცხადებს პროვოკატორ-რეაქციონერებს, რომელნიც ჩვენში სამოქალაქო ომს აჩაღებენ და ხელს გვიშლიან ორგანიზაციულ მუშაობაში. სალამს უძღვნის კავკასიის სეიმს და ჰპირდება მას მის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას".

შალიკო ხვადაბუნელი.

მთელი გურიის მოხალისეთა ჯარი, მყოფი ბათუმის საციხოვნო ნაწილებში, იღებს რა მხედველობაში, რომ რევოლიუციას და სამშობლოს განსაცდელი მოელის გარეშე მტრის შემოსევისაგან, ადგენს: რადგანაც დაყოვნება დაღუპვას გვიქადის, დაუყოვნებლივ იქნას მოყვანილი სისრულეში გამოწვევა ყველა იმ პირთა, რომლებიც თანახმათ დეკრეტისა უნდა გამოსულიყვენ 27 თებერვალს ე. ი. 19—25 წლამდე. გამოსაწვევათ იქნეს მიღებული სასტიკი ზომება. ყოველივე ეს ეცნობოს ქუთაისის გუბერნიის კომისარს. დეკრეტის სისრულეში მოსაყვანათ მოხალისეთა ჯარი აღუთქვამს ყოველივე დახმარებას.

მოხალისეთა ჯარის მონდობილობით: **ნოე გოგელია, გრიშა შარაშიძე, ბენიაზე კვაჰაძე, მიხეილ ქიქოძე, პანტელეიმონ რამიშვილი.**

ბაქოში გრ. დოლიძის ინიციატივით და არჩილ იაქაშვილის დახმარებით, 9 მარტს მოწვეულ იქნა კრება, რომელსაც დაესწრო ბაქოში მცხოვრები ქართველობა. კრებამ მსჯელობა იქონია ჩვენი ქვეყნის დღევანდელ საგარეო საფრთხის შესახებ და დასასრულ ამოირჩია კომისია 8 კაცისაგან, რომელსაც დაევალა ხელი შეუწყოს ბაქოელ ქართველთა შორის მობილიზაციის წესის ჩატარებას და მოხალისეთა რაზმის შედგენას. კომისიამ თავიანთ შორის გამოყო ერთი პირი—გრ. დოლიძე, რომელსაც დაევალა კავშირი გააბას თფილისში სათანადო დაწესებულებებთან. საერთოთ ბაქოს ქართველთა შორის დიდი აღფრთოვანებაა და ყველა მზათ არის თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს დაცვის საქმეში. ეწყობა რაზმი მოხალისეებისა და სხვა. მოხალისეთა ჩაწერა ხდება ბაქოში ქართულ სკოლაში, ალფესი ცისკარაძესთან.

გრიშა ა. დ—ძე.

3 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე სად. ყვირილაში კახეთიდან ბათუმში მიმავალ ქართულ ცხენოსან სამთო ბატარეის ეშელონმა გამართა მიტინგი.

მიტინგი გახსნა ზემოხსენებულ ბატარეის ჯარისკაცმა ილარიონ ხარაიძემ.

დღის წესრიგში იყო ერთად-ერთი საკითხი. ამიერკავკასიის დღევანდელი მდგომარეობა და მოწოდება ჯარში ჩაწერის შესახებ. სადგურში მატარებელს დახვდა დიდი საზოგადოება და რკინის გზის მოსამსახურეები წითელი დროშებით. კრების გახსნის შემდეგ მიემატა შორაპნის მაზრის რევოლიუციონურ ლაშქრის ნაწილი, რომელიც მოვიდა დროშით და მარსელიოზის სიმღერით. ბატარეის მხრით ილაპარაკეს ჯარისკაცებმა ილარიონ ხარაიძემ და შალიკო ჭუბინიძემ. ადგილობრივ მცხოვრებთაგან—მიშა საყვარელიძემ, ეროვნულ საბჭოს სახელით. ყვირილის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ გოგიაშვილმა. შორაპნის თავისუფალ ლაშქრის სახელით ამხ. ილიკო ჯუღელმა. სვირის რევოლიუციონურ ლაშქრის სახელით ამხ. ვარლამ კაპანაძემ და ადგილობრივ მცხოვრებმა ილარიონ ჭუმბურიძემ. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო და საერთოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მრავალ რიცხოვანი მიტინგი სად. ყვირილისა მიესალმება ქართვ. სამთო ცხენოსან ბატარეიას და მასთან სდებს მტკიცე რევოლიუციონურ ფიცს, რომ ის არ დაზოგავს არც თავის საუკეთესო შვილებს და არც უკანასკნელ გროშს სამშობლოს და თავისუფლების დასაცავათ. ჩვენი სალამი და დიდება რაინდ მებრძოლთ! რისხვა და კრულვა თავისუფლების და ხალხის მოღალატეთ".

მდივანი მიტინგისა ლ. სარჩიმელია.

## სიმონ ცაგარელი

ბათუმიდან მოსული ცნობებით, იქ მდგომ ფლოტის ხელში ჩაგდების დროს ბრძოლაში დაღუპულა ამხ. სიმონ ცაგარელი.

თავზარდამცემია ამის გაგონება ჩემთვის და ყველა იმათთვის, ვინც მას იცნობდა. დაუღალავი, საარაკო ენერგიის პატრონი, მტკიცე რწმენით და ენტუზიაზმით სავსე, თავგანწირული მებრძოლი თავისუფლების დასაცავათ, აი ვინ დავკარგეთ. ასეთ საბედისწერო დროს, როცა გარეშე მტერი და შიგნით აუარებელი ხალხის ხორცმეტი ნაძირალები შთანთქმას უქადის ჩვენს ნორჩ თავისუფლებას.

მეტად მძიმე დანაკლისია სიმონისთანა პიროვნების დაკარგვა მთელი ჩვენი დემოკრატიისთვის. კერძოთ ჩვენი სამხედრო საქმისთვის კიდევ მეტი, რადგან მას გამოაკლდა ერთი საუკეთესო გაწრთვნილი, მედგარი და საიმედო ხელმძღვანელი.

ამხანაგო სიმონ! შენი ხსოვნა თავის დღეში არ წაიშლება შენი ამხანაგების გულში.

ალფ. რამიშვილი.

## წერილი კახეთიდან

ამ უკანასკნელ დროს იმერეთიდან გადმოსახლებულ გლეხთა რიცხვი მდ. ალაზნის გაღმა მდებარე რაიონში დღითი დღე იზრდება.

ახლად გადმოსახლებული გლეხები იძენენ მხოლოდ სახლის დასადგმელ ადგილებს და იკეთებენ კარვებს. ასეთი მასსიური გადმოსახლების მიზეზი, როგორც მათთან საუბრის დროს გამოირკვა, თურმე ის ყოფილა, რომ კახეთიდან ჩასული თითო ოროლა შარლატანი ატყუებს იმერეთის უმიწობით შევიწროებულ მცხოვრებთ და ეუბნება, რომ თუ კახეთში ჩამოვლენ და სახლს ჩაიდგამენ სადმე, მიწების მოზომვის დროს მათაც მიეზომებათ საყოფი მიწა. ამ ვაჟბატონებს ის კი არ აინტერესებთ, რომ იმერეთის უმიწაწყლო მცხოვრებთ დაეხმარონ, არამედ სულ სხვა და ეს ის არის, რომ ახლად მომავალ იმერეთის გლეხკაცობას თითო ოროლა საჟენი მიწა მოუჭრან, შიგ სახლი ჩაადგმევინონ და სამაგიეროთ, ერთი ასად ფასი გადაახდევინონ. მაგალითად, 100 მანეთად ნაყიდ დესეტინა მიწას ამჟამად 3 ათას მანეთად ყიდიან ახლად მომავალ ხალხზე და ამრიგათ ატყავებენ ამ საწყალ ხალხს. ახლად მომავალი გლეხები ამ შარლატნების ანკესზე ადვილათ ეგებიან. თითო ოროლა საჟენს ყველა იძენს და აძლევენ, რაც საფასურიც არ უნდა სთხოვონ იმ იმედით, რომ მიწ-

ბის დანაწილების დროს მათაც თანასწორათ მიუზომავენ საყოფ მიწას.

ეს აზრი შემცდარია. შემცდარია პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება ან და გაჩუქება აღკრძალულია. მაშასადამე, ის მიწები, რომლებსაც ამ ჟამად ახლად მომავალი გლეხები იძენენ, მათ საკუთრებათ არ დარჩება და მაშასადამე, არც ადგილობრივ მცხოვრებლებათ ჩაითვლებიან. მეორე—კარგათ უნდა იცოდნენ ახლად მომავალმა გლეხებმა, რომ მიწები უნდა მემამულეებს ჩამოერთვათ და ასეთი მემამულეები გარეკახეთში თითქმის არც კი არიან, რადგან ჩვენმა თავადებმა თავიანთი მიწები დიდი ხანია მიჰყიდეს ამ თორმეტი წლის წინათ ჩამოსულ იმერეთის გლეხკაცობას. ერთად ერთი გაუყიდავი მამული ალაზნის გაღმა რაიონში, ეს ვაჩნაძეების მამულია, მაგრამ ეს მამული კიდეც რომ დანაწილდეს გლეხებ შორის, თვით ვაჩნაძეების უმიწო ნაყმევებსაც თუ გახვდებათ. მაშასადამე, ამ მხრითაც ახლად მომავალი იმერეთის გლეხკაცობა იმედებ გაცრუებული დარჩება.

მაგრამ რომ ეს ასეც არ იყოს, ამ მოვლენას მეორე ბნელი მხარეც აქვს.

იმ დროს, როდესაც რევოლიუცია განსაცდელშია, როდესაც რევოლიუციის ერთგულნი დარაჯნი ანარქიასთან ბრძოლაში სისხლისაგან იწრიტებიან და არ ვიცით ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს, — რევოლიუცია დაასამარებს ანარქიას, თუ ანარქია რევოლიუციას, ამ დროს შარლატნები იმის ცდაში არიან ზოგიერთები, რომ ჩვენი რევოლიუციით მოპოვებული უფლებები თავისი ქვენა აზრების იარაღათ გამოიყენონ და ამით ხელი შეუწყონ რევოლიუციის დასამარებას. ამიტომ ვაფთხილებ იმერეთიდან მომავალ გლეხებს, რომ კარგათ ჩაუკვირდენ თავიანთ მოქმედებას, ნუ წამოეგებიან „შარლატნების“ ანკესზე.

ამასთან ერთად მივმართავ ჭიათურის რაიონის გლეხთა საბჭოს, რადგან გადმოსახლებულთა რიცხვი უმეტეს ნაწილად ამ რაიონიდან არის, განუმარტოს წამოსასვლელათ გამზადებულ გლეხებს ამ მოვლენის ყველა ბნელი მხარეები, თორემ თითზე კბენა ბოლოს გვიანღა იქნება.

გ. ქუმბურიძე.

P. S. ვსთხოვ ქუთაისის გაზ. „სოციალ დემოკრატს“ ეს წერილი გადაბეჭდოს.

## რკინის გზაზე

7 მარტს მატარებლით № 24 ისე მივედით სამტრედიიდან გორამდე, რომ კონდუქტორი არც ერთხელ არ შემოსულა თავის ვაგონში და ბილეთიც არავისთვის მოუთხოვია. ხალხი შემოდიოდა და გადიოდა, ზოგს არხეინად ეძინა, მაგრამ ვინ იყო პატრონი. მოვედით გორში და შევატყობინეთ სადგურის უფროსს და მოვთხოვეთ მოსულიყო და ოქმი შეეყენებინა. ვინაიდან თვითონ სადგურის უფროსი თურმე ამ მატარებლით მოდიოდა გამოგვიცხადეს, რომ ეს თქვენი საქმე არ არისო, მაგრამ ჩვენმა კატეგორიულ მოთხოვნამ აიძულა დაგვთანხმებოდა. ობერ-კონდუქტორმა ორლოვმა და რკინის გზის ერთმა გვარდიელთაგანმა ამაზე აყალ-მაყალი ატეხა: თქვენი საქმე რაც არ არის, ნუ გაერევითო. შემდეგ შევადგინეთ ობერზე და კონდუქტორზე ოქმი და ხელი მოაწერეს მგზავრებმაც და წარუდგინეთ რკინ. გზის ცენტრალურ აღმასრულ. კომიტეტს. კომიტეტის წევრებმა აღგვითქვეს, რომ მიიღებენ შესაფერ ზომებს.

ეს ერთი ფაქტი აშკარად მოწმებს, რომ რკინის გზა უფრო მეტ ზარალს ნახავს, თუ ასეთი მოსამსახურეები ვერ აილაგმა. ეს ნიმუშია იმისა, რომ მოსამსახურეთა ერთი ნაწილი სრულიად არაა დაინტერესებული ამიერ-კავკასიის ბედიღბალით. საჭიროა რკ. გზის გვარდიელადაც უფრო შეგნებული ამხანაგები იყვენ.

ძმა-კაცი.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 8 მარტს შესდგა მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. პირველათ კრებას კ. თალაკვაძემ მოახსენა თფილისის კომიტეტის კრების ანგარიში. კრება უკამათოთ ღებულობს მოხსენებას და შემდეგ გადადის მორიგ კითხვაზე—საერთო პარტიულ კრების მოწვევაზე. ამხანაგების დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რაც შეიძლება ადრე იქნას კრება მოწვეული. გადაწყდა: კვირას 9 საათზე, პუშკინის სახელობის სკოლის შენობაში (ხარფუხი) უნდა იქნას მოწვეული საერთო პარტიული კრება. მოხსენებას გააკეთებს მიმდინარე კითხვაზე ამხ. ევგენი გეგეჭკორი. მოხსენებას უნდა დაესწრონ ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელთა სრული შემადგენლობა. დაბოლოს კრება იმუშავებს კრების დღის წეს-რიგს.

ნა.

## მუშათა შორის

**თფილისი.** კვირას, 11 მარტს შესდგა თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: გასული წლის ანგარიშის დამტკიცება, მოხსენება გაფიცვის მსვლელობის შესახებ და პროფ. კავშირის გამგეობის არჩევნები. მდივნის მოხსენებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაამტკიცა გასული წლის ანგარიში. გაფიცვის მსვლელობის შესახებ, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა გაფიცული ყოფილან კიდევ 115-მდე კაცი, ამათში დიდ უმრავლესობას ლიტოგრაფები და ამკინძავები შეადგენენ. კრებამ ერთხმათ დაადგინა განაგრძონ გაფიცვა, მანამდი, სანამ სრულიად არ დააკმაყოფილებენ „ხაზეინები“ მუშების კანონიერ მოთხოვნილებას. რომ გაფიცვა შეუფერხებლივ მიმდინარეობდეს კრებამ დაადგინა: გადასდოს 5 პროც. თვითეულმა კავშირის წევრმა თავისი ჯამაგირიდან, რაიც უნდა მოკრიბონ 15 მარტს. ბოლოს მოხდა პროფ. კავშირის გამგეობის არჩევნები. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: პუგაჩოვი, ივანოვი, ხარაზიანი, ხაბაროვი, პასტუხოვი, თამაზაშვილი, ელიაძე, დობორჯგინიძე, ილატოვსკი, ბეზუხი, კრონშტეინი, ბერგმანი, გიორგაძე, ტიურენკოვი, და გოგუაძე. მათ კანდიდატებათ: ურუშაძე, გაბუნია, ბერბერაშვილი, ბოლქვაძე და თოდრია.

ს. ცხემლისხიდელი

P. S. დღეს, 14 მარტს, საღამოს 7 ს. დანიშნულია ზემოხსენებულ ახალ არჩეულ ამხანაგების კრება, კავშირის ბინაზე, (პეტროგრადის ქუჩა № 18) ამხანაგებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

ს. ც.

**თფილისი.** როგორც იქნა, ორი თვის შემდეგ 2 მარტს სამედიატორო სასამართლომ შრომის კამისარის თავმჯდომარეობით გაარჩია მზარეულების მოთხოვნა ჯამაგირების მომატების შესახებ. ბევრი კამათის შემდეგ სასამართლომ უარჰყო ორივე მხარის წინადადება და საერთო ხმით იქნა მიღებული ამხანაგ ფირცხალაიშვილის წინადადება ჯამაგირების შემდეგი ნორმა მომატების: სამზოუნველოში მომუშავეთათვის, ვინც იღებს არა უმეტეს ათი თუმნისა, მიეცეთ 90 პროც.; არა უმეტეს ხუთმეტი თუმნისა 70 პრ., არა უმეტეს ოცი თუმნისა 60 პროც., ოცი თუმნის ზევით ვისაც აქვს 50 პროც., მომატებულის პროცენტებით სარგებლობს ყველა წევრი მზარეულთა პროფესიონალური კავშირისა, სადაც არ უნდა მუშაობდეს ის კლუბებში, სასტუმროებში, რესტორანებში და სხვ. პირველი თებერვლიდან ორ მარტამდე ვინც კი იყო სამუშაოზე და გადაწყვეტილების შემდეგ კავშირი გზავნის სამუშაოთ თავის წევრებსა აღნიშნულის ჯამაგირით, ან ასე: თუ წინეთ უფროს მზარეულს გზავნიდა 25 თუმნათ, ეხლა მიუმატებს მას 50 პროც. და გზავნის 375 მანეთად ქალაქ თბილისში. ბ. ს. გიგიბერიას არ სცოდნია, რომ მის რესტორანში მომუშავე მზარეულებიც კავშირის წევრები იყვენ, თორემ თითონ მედიატორეთ იყო და როგორ მისცემდა ხმას ამხანაგ ფირცხალაიშვილის წინადადებას. ის ეუბნება მზარეულებს: თქვენზე არა ვრცელდება ეს გადაწყვეტილებაო და სხვა. მე არ ვიცი, რას მივაწეროთ ბატ. გიგიბერიას საქციელი, რომელიც არავითარ ზომებს არ ერიდება მზარეულების დასამარცხებლათ. რაც მზარეულთა კავშირი დაარსდა ხან არტელს ადგენს, ხან გადასცემს სამზარეულოს და სხვა. რაიც იძულებულს გახდის მზარეულთა და მოსამსახურეთა კავშირებს ბოიკოტი გამოუცხადოს მას და ყველა მისთანა მოაზრე „ხაზეინებს“, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ კავშირს.

ბ. დვალი.

**ზლატაგორსკის ქარხანა.** ზემოხსენებულ ქარხანაში ბამბას ამზადებენ, სადაც მუშაობს ასი კაცი. რევოლიუციის პირველ ხანებში ეს მუშები შევიდენ ბამბის, ზეთის და საპნის ქარხნის მუშათა პროფესიონალურ კავშირში. ამ უკანასკნელ ხანებში „ხაზეინმა“ შეამცირა მუშათა რიცხვი ორჯერ, ვინაიდან ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო ბამბის შემოტანა შეუძლებელი შეიქნა. ერთი მუშათაგანი, რომელიც დელეგატათ იყო არჩეული ქარხნიდან და შედიოდა კავშირში, სახელდობრ აზარიაშვილი, „ხაზეინის“ კატეგორიული მოთხოვნით დათხოვნილ იქნა, ვინაიდან მუშების აჯანყებსო. მუშებმა ამის შესახებ იმსჯელეს და კატეგორიულათ მოითხოვეს მისი უკან დაბრუნება. გარდა ამისა მუშებსა და „ხაზეინებს“ შორის სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქარხანა არ უნდა შეჩერებულიყო ექვსი თვის განმავლობაში, სინამდე ეყოფოდა ნედლი მასალა, მაგრამ „ხაზეინი“ არ დაემორჩილა ამას და თავისი ნებით მიკეტა ქარხანა. ერთი სიტყვით, მუშებს და მათ კავშირს სრულებით ანგარიშს არ უწევენ ოქროს მოტრფიალენი. ამავე დროს მუშები ასე არ დასთმობენ მათივე მოპოვებულ უფლებებს. მუშების მოთხოვნებს შეადგენს: დელეგატის მიღება და მუშაობის გაგრძელება დანიშნულ დრომდე, ეხლა მუშების ქუჩაში გამოყრა და ისიც უსაფუძვლოდ, ყოვლად შეუძლებელია და ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაუწიოს კავშირმა. მართალია, მუშები ქარხნის ლიკვიდაციას ხელს არ შეუწყობენ, მაგრამ არც „ხაზეინებს“ მისცემენ უფლებას ფეხქვეშ გასთელონ მათი ინტერესები.

კულტურულ მუშაობას მუშებში ძლიერ ცოტა ალაგი აქვს. გაზეთები სულ არ ვრცელდება, კრებებს არავინ მართავს და პარტიულ მუშაობასაც არა აქვს ალაგი მოწინავე მუშების გარეკის შემდეგ. კავშირს კი ეტყობა სრული უმოქმედობა. საჭიროა თვით მუშებმა ამოიღონ ხმა ამის წინაღმდეგ და თავი არავის დაამცირებინონ.

ძმა-კაცი.

## პროვინცია

**დ. ცხინვალი.** ამ ბოლო ხანებში ცხინვალის რაიონშიც ზოგიერთაგან ალაგი ჰქონდა ეგრეთ წოდებულ „ბალშევიკურ“ გამოსვლებს. მარტის სამში, მაგალითად, შეკრებილიყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცების მეთაურობით თამარაშენის საზოგადოების რამდენიმე უპასუხისმგებლო პირნი და ხალხის დაუკითხავათ გადაეყენებინათ საზოგადოების კომისარი. მ ს მაგივრათ დაეყენებიათ თავიანთ ამხანაგი ყოფილი ჯარისკაცი „ბალშევიკი“.

ამ უწესო საქციელის გამო 7 მარტს მოწვეულ იქნა მთელი საზოგადოების მიტინგი. აქვე იყვენ, 3 მარტის გმირებიც. ამხ. პ. ეფრემიძემ, გ. ოქროპირიძემ და სხვებმა ვრცლად განუმარტეს ხალხსა, რომ ესრეთ განცდის დროს, როდესაც ჩვენს რევოლიუციას დიდი საფრთხე მოელის გარედან, მოვალენი ვართ შიგნით მაინც წესიერება დავიცვათ და უაზრო გამოსვლებით არ დავაქუცმაცოთ დემოკრატიის ძალები. ასეთმა ახსნა-განმარტებამ იქონია გავლენა თვით „ბალშევიკებზედაც“ და ბოლოს ხალხთან ერთათ ხმა მისცეს მიტინგის დადგენილებას, რომელიც უკანონოთ აღიარებს მათს საქციელს და საჭიროთ სთვლის რაც შეიძლება მალე გამოირკვეს: დაიმსახურა რითიმე, თუ არა საზოგადოების აღმასრულებელმა კომიტეტმა ხალხის უნდობლობა. კომისარის ამორჩევა და გადაყენება კი თანახმათ საამისო დებულებისა იცნეს მთლათ კომიტეტის საქმეთ.

შემდეგ ილაპარაკეს ომზე, ზავზე, წითელ გვარდიაზე და მიიღეს შემდეგი დადგენილება: „სრულ ნდობას ვუცხადებთ სეიმის ს.-დ. ფრაქციას ნოე ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, აკ. ჩხენკელს და სხ. ამხანაგებს ამიერ-კავკასიის სეიმში. გვრწამს, რომ იგინი თავდადებულათ დაიცავენ ხალხის ინტერესებს და მათი ხელმძღვანელობით გამარჯვებულნი გამოვალთ მტერთან ბრძოლაშიც და შინაურ ცხოვრების მოწესრიგებაშიც. მიტინგი ერთხმათ ადგენს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი სამშობლო და არ შემოვუშვათ მტერი შიგნით. ამასთანავე, ვამაყობთ რა წითელი გვარდიის შედგენით, ვეცდებით მის ყოველნაირათ გაძლიერებას“.

ო.

**ჭიათურა.** სასურსათო კრიზისმა, ფართე ხასიათი მიიღო, ქალაქს თუ სოფელს დიდი უბედურება მოელის, ბაზარზე აღარ იშოვნება არც ხორბალი, არც სიმინდი და სხვა. სასურსათო კომიტეტები შეძლების დაგვარათ მუშაობენ, მაგრამ მარტო რას გახდება, საჭიროა დახმარება, ცნობების მოწოდება ამა თუ იმ სოფლიდან. სად მეტი სურსათია, სად ნაკლები, ამ მხრივ საჭიროა ენერგიული მუშაობა, და სოფლებში ცოცხალი ძალების გამოძებნა, რომლებიც სასურსათო კომიტეტებს დიდ დახმარებას გაუწევენ.

დღეს სოფლათ საჭიროა ენერგიული მუშაობა, საჭიროა მცოდნე მოწინავე ამხ. არჩევა კომისიის სახით ადგილობრივათ. ეს კომისიები გამოარკვევენ ვის აქვს სურსათი და ვის არა და ხელს შეუწყობენ სამართლიან განაწილებას.

ა. ოქროსქედელი.

**გურიანთის საზოგადოება** (გურია). 28 იანვარს სოფ. კახურში, ადგილობრივ სკოლის დარბაზში გაიმართა საზოგადო კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: კომისარის და მდივნის და სასოფლო აღმას. კომიტეტის არჩევა, კომისარის და მდივნის ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრა, სოფლათ თოფების სროლის შესახებ, ჯარისკაცთა კავშირის წინაამდეგ ახსნა-განმარტება და სხვ.

კომისარის თანამდებობაზე დასახელებულ იქნა რამოდენიმე კანდიდატი. ხმის უმრავლესობით აირჩიეს ესე ტოტოჩავა. რადგან ადგილობრივათ არ აღმოჩნდა სასურველი კანდიდატები მდივნის თანამდებობაზე და ზოგმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე, ამის გამო დაევალა სოფლის აღმასრულებელ კომიტეტს, გამონახოს დაჩქარებით ამ თანამდებობაზე შესაფერი კაცი. სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაციას კრება აუცილებლათ მოითხოვდა, რადგან ძველი კომიტეტის ზოგიერთ წევრებს უმოქმედობას და ცალმხრივობას სწამებდენ მუშაობაში. კრებამ აღმასრულებელ კომიტეტის ახალ წევრებათ აირჩია 16 კაცი.

კომისარის ჯამაგირის მიცემაზე კრების უმცირესობა აღნიშნავდა, რომ სრულიად არ მისცემოდა გასამჯელო, მაგრამ შეგნებული პირები ამის წინაამდეგი იყო, როცა ფაქტებით უმტკიცებდენ შეუძლებლობას დღევანდელ სიძვირის დროს მეტადრე, რის მიზეზით მოსალოდნელი იქნებოდა მექრთამეობა და სხვა ამგვარი. კენჭის ყრით დიდმა უმრავლესობამ დაადგინა მიეცეს კომისარს ჯამაგირი 80 მან. და მდივანს კი ასი მანეთი თვეში.

რადგან სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული ჯარისკაცები მოტანილი თოფებით განაგრძობენ სისტემატიურათ სროლას და მით ისედაც ყოველ მხრიდან თავზარ დაცემულ მცხოვრებთ მათი შიშით გზაზე ვერ გაუვლიათ, საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება არის ასეთი პირების წინააღმდეგ. ამის გამო ამ რაიონის ს.-დ. კოლექტივმა მიიღო ზომები. ყველა უბნებში გააკრა მოწოდება, სადაც აღნიშნული იყო არ გაისროლონ თოფები უბრალოდ ჯარისკაცებმა და თუ არ შეასრულებენ თხოვნას მათ ჩამოერთმეოდათ იარაღი. კრებამ ასეთივე დადგენილება გამოიტანა ჯარისკაცთა კავშირის შესახებ. კრებამ დაჰგმო ასეთი გამოთიშვა იმ დროს, როდესაც საჭიროა გაერთიანება და ერთი დიდი ორგანიზაციის შექმნა.

შემდეგ კრებამ განიხილა ჯარისკაცთა ოჯახებზე სახაზინო ხვედრი ფულების გამნაწილებლების, ძველ კომისარის და მდივნის შესახებ ბრალდება, რომ მათ ეს ფულები მიითვისეს და გაფლანგეს. კრებამ აირჩია ამ საქმის შესახებ საგამომძიებლო კომისია 5 კაცისაგან შემდგარი, რომელნიც მიუდგომლათ გამოიკვლევენ და მომავალ კრებას გააცნობენ ბრალდების სინამდვილეს. ამ საზოგადოების ერთმა უბანმა, ახალ-სოფელმა, საჩივარი აღძრა ოზურგეთის სამაზრო კომისართან, რომ ძველი კომისარი ბართლომე დობორჯგინიძე და მდივანი სევასტი ტიფოს ძე დოლიძე ითვისებდენ ჯარისკაცთა ხვედრ „პაიკებს“ და ქრთამებსაც იღებდენ, რომლის ფაქტები მათ ხელთ აქვთ დასამტკიცებლათ. ამის გამო ხსენებული კომისარი და მდივანი საზოგადოებისა, მაზრის კომისარმა დაატუსაღა და თანამდებობიდან გადააყენა. ამ პირთა ბრალდებითი საქმეები გადაცემულია ოზურგეთის რევოლიუციონურ სასამართლოში და ადგილობრივათაც კომისიებს მკაცრი გამოძიება აქვთ დაკისრებული. რადგან სამაზრო მთავრობამ გამოძიებამდის პასუხისგებაში მისცა დობორჯგინიძე და დოლიძე, დროებით გაანთავისუფლეს.

პ. ბაილეთელი.

**ს. ბუკნარი** (გურია). იანვარში გაიმართა სოფლის კოოპერატიული დუქნის „წესრიგი“-ს საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა გასული წლის ანგარიში. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: საზოგადოებას ყავს 264 წევრი. წლის განმავლობაში გაყიდულა 103.298 მ. 93 კ. საქონელი. მოგება დარჩენილა 13,627 მ. 49 კ. თხილის გაყიდვიდან 582 მ. 34 კ. წლის განმავლობაში დახარჯულა 6203 მ. 59 კ. წმინდა მოსაგები დარჩა 8006 მ. 24 კ.

ანგარიშების სისწორეს ამტკიცებს სარევიზიო კომისია, შემდეგ კრება ადასტურებს ანგარიშებს და გამგეობას მადლობას უცხადებს ენერგიული შრომისათვის. მოსაგები კრებამ გაანაწილა შემდეგ ნაირათ: მუდმივ გამგეს ე. კაცაძეს ჯამაგირის სახით დაუმატეს 450 მ., ნოქრებს 2 და მოლარეს 700 მ. სათადარიგო თანხაში 1371 მ. 20 კ. ადგილობრივ თეატრის შენობის ფონდისთვის 1000 მ. სათეატრო და კოოპერატივის ეზოს შესაღობათ.—903 მ. ოზურგეთის გიმნაზიის შენობის სასარგებლოთ 100 მ. გორაბერეჟეულის სამკითხველოს 20 მ. ფიჩხისჯვრის სამკითხველოს 20 მ. ქვენობნის სამკითხველოს 20 მანეთი. დანარჩენი 3421 მ. 80 კ. განაწილებულ იქნა წევრებზე ნავაჭრის და მიხედვით. დასასრულ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობაში იქნა არჩეული: ე. კაცაძე, ს. დოლიძე, მ. კეკელიძე, ბიკ. გოგიბერიძე და კ. დოლიძე. სარევიზიო კომისიაში— ე. ნოდია, ი. ანდღულაძე და ს. კალანდაძე.

ევტიხი კაცაძე.

**პანკისი** (თიანეთის მაზრა). მეთვრამეტე წელიწადია, რაც პანკისში დასახლდნენ გორის მაზრიდან წამოსული ოსები. ზოგი ნაყიდ მამულზე ცხოვრობს და ზოგსაც იჯარით აქვს აღებული. პანკისში მცხოვრებ ოსებს მეზობლათ ჰყავთ ქისტები, რომლებიც ძალას ატანენ ოსებს და მათ ადგილებიდან ჰყრიან, ვინაიდან ამბობენ ეს ადგილები ეკუთვნის ქისტებს. მარტის პირველ რიცხვში ქისტებს ამოუყვანიათ რამდენიმე თუში სახელდობრ ალექსი ბიბლიაშვილი, პირიქითის საზ. კომისარი პავლე თავბერიძე და მესამე ნოების საზოგადოების კომისარი ბაგრატ ქადაგიძე. მათ სოფელ ხალანანში მცხოვრებელთ გამოუცხადეს იცხოვრონ დღეიდან მარიობისთვემდი და შემდეგ გაანთავისუფლონ მამული, რომელიც ქისტებს უნდა გარდაეცეს. იქ ცხოვრობს 28 კომლი ოსი. სოფელ დემასტურში მცხოვრებთ გამოუცხადეს არ მოხნან მიწები მანამდის, სანამ არ გაარჩევენ მათ და ქისტებს შორის ატეხილ დავას. თუ საჩქაროთ ზომები არ იქნა მიღებული ამათ დასამშვიდებლათ, ამ დავას აუცილებლათ შეტაკება და სისხლის ღვრა მოჰყვება.

ქ. დ.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ მე 16 ნომერში მოთავსებული იყო წერილი „სომხის ნაციონალურ საბჭოს საყურადღებოთ“ ვიღაც ა—ს ხელმოწერილი. ავტორი ამცნობს მკითხველთ, რომ „პოგრომშჩიკებს“ და მკვლელებს გორის მაზრაში მეთაურობს ვიღაც სომეხი სოფ. ატოცელი მცხოვრები ოვანეს (ვანო) როსტომოვი, ყოფილი ვაჭარი, ეხლა კი აგიტატორი და მცარცველთა მეთაურიო. როსტომოვი თავის სიტყვებით უნერგავს გლეხებს, რომ ქართველი თავად-აზნაურები თათრის ბეგებს შეუერთდენ და მათ საერთო ძალით სურთ ხელი შეუწყონ თათრების შემოსევას, რათა აღდგენილი იქნას ბატონ ყმობაო. ეს აგიტაცია ხელს უწყობს და აღელვებს გლეხებს, რომელნიც მზათ არიან სულ ერთიანათ ამოსწყვიტონ თავად-აზნაურები და დაიტაცონ მათი ქონებაო“. წავიკითხე თუ არა ეს წერილი, მე მაშინვე შევკრიბე ყოველივე ცნობები ვანო როსტომოვის შესახებ და ვამცნობ მკითხველთ სოფელ ატოცის გლეხთა ყრილობის დადგენილებას. ყრილობის ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ვანო როსტომოვი 70 წლის მოხუცია, ყველასგან პატივცემული და ნდობით აღჭურვილი. მას არასოდეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ ძარცვა—რბევაში, რომელიც გორის მაზრაში მოხდა, ტ არც არავისთვის მოუწოდებია დაეხოცათ თავად-აზნაურები. ყრილობის დადგენილება შემოწმებულია ავლევის საზოგადოების კომისარის მიერ, რაიც ამტკიცებს, რომ ვიღაც ა—ს წერილი ეს გამოგონილი ჭორია იმ კაცის შესახებ, რომელიც იმ საქმეებიდან შორს არის, რომელსაც მას აწერს გაზეთი „ვოზროჟდენიე“.

პირი ყრილობის დადგენილებისა ნოტარიუსის მიერ შემოწმებული რედაქციას ამ წერილთან ერთათ ეგზავნება.*)

სურამის სომხის კომიტეტის თავმჯდომარე ექიმი ადიბეკიანცი.

*) რედაქციამ მიიღო.

რედ.


ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

იხსნება ავლაბარში
სახალხო უნივერსიტეტი.

ლექციების კითხვა იქნება სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურად. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ (მესამ[illegible] რაიონის) კახეთის ქუჩა № 1, ლექციე[illegible]ბის კითხვა უფასოა. 4—3

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეჰრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'რსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი
გ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი
დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილის 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.